



# არსენალი



№17 (164). 17-30 აპრილში, 2012 წ. სახმელეთ-აწვრივი ჯარები. ფასი 2 ლარი

**გულაუთის აეროდრომი  
საქართველოს  
წინააღმდეგ**

**კიბელი ომისთვის ორი წელი  
ეზაფაგოდა, თუმცა, ქართული  
არტილერიის ზღვს დალოდა...**



**რას წარმოადგენს  
ახალი „კალაშნიკოვი“**

ISSN 1987 - 5061  
9 771987 506007



პირველი  
ქართული  
საეხრაზმი

36



ყარაგაღის  
ოვის  
პოლიციური  
გზაჯვარედინი

11




საგეგანო ავიაცია —  
ორი სვიჩიის  
გზაჯვარედინი

50

სოჭი 2014 წლის  
ოლიმპიადისთვის  
ეგზალტა

34



სწავლება  
„ქაპკაზ 2012“

25

რას წარმოადგენს ახალი  
„კალაშნიკოვი“



53



პალიტრა  
ბიზნა

# სარჩევი

- 4** სახელმწიფო სიხარული
- 7** კრემლი მოხსენიებს ორი წელიწადის განმავლობაში...
- 8** რუმინული მხარეების განცხადება
- 11** ყარაღაჯის საპარტიო პოლიტიკა?
- 13** სირიის კრიზისი – ახალი პერიოდით სარგებლობა
- 16** ავსტრიული პოლიტიკის მიმართ
- 18** თანამედროვე მსოფლიო
- 20** არ გაიშვება, რომ არის სისხლი გაქვს ახალგაზრდა...
- 22** სახელმწიფო პოლიტიკის პარტიზმი: უკრაინის ზღვარზე?
- 25** „კავკასი 2012“ – სტატუსი საპარტიო საზღვრებისა და არის მიხედვით
- 30** 500 ფაქტი მხარეების იმპორტი
- 34** სოფი 2014 წლის ოლიმპიადისთვის ემზადება
- 36** პირველი ქართული სახელმწიფო დანიშნულების რეზი
- 39** ნაღობი „მირაჟი“
- 42** ოლიმპიკი კრიზისი
- 45** გულაშვილის პარტიული საპარტიო პოლიტიკის ენააღიარება
- 50** საგარეო პოლიტიკა
- 53** რას ნაშრომებს ახალი „პალიტიკა“

## კვლევისას

20 წლის წინ ამ დღეებში, თავისუფლებამოკლებული საქართველოს რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი – აფხაზეთის ომი დაიწყო. 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებაში ვერ შედგენდნენ, თუ რა განსაცდელში ჩააყენეს ქვეყანა. 1992-93 წლების აფხაზეთის ომმა დე ფაქტო მოსწვევდა საქართველოს მისი ძირითადი მიწა აფხაზეთი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომმა უფრო დაეკუმულირა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებას წარმოადგენდა უდიდესი ნაწილი (ერთი-ორი გამოკლებით) 20 წლის წინ თავს არიდებდა აფხაზეთის ომში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ ასაკი უწყობდა ხელს, რათა ჩამდგარიყვნენ იმ პირთაგან, მებრძოლებს რეგულარულად, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სამშობლოს. ვინ იცის, ამ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს აფხაზეთის ომი რომ გადაეტანათ, თუ 2008 წლის აგვისტოს ომიც არ ყოფილიყო?!

შეგარე რედაქტორი  
**ირაკლი ალაღაშვილი**  
პასუხისმგებელი რედაქტორი  
**თემურ ჩანაძიძე**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დათო მონიაშვილი**

**შეზღვევა!**  
გამოიფრთხილეთ „არსენალი“  
და მიიღეთ 20%,  
ორ კვირში მართლმად!  
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუპირისპირებლად  
გასაღების გადაგზავნა  
აპრაქსიულია

**გადამცემულია დასაგზავნად**  
13.08.2012

გაზეთი „პირის პალიტრა“  
დაგზავნა ©  
რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. N49  
ტელ: 238-83-07 (121)

სარედაქციო განყოფილება:  
ტელ: 237-78-07; 238-78-70  
email: arsenal@kvispalitra.com  
შურნალოდ გამოდის  
ორ კვირის ერთხელ  
პარასკევს

# ქალაქისათვის გრძელვადიანი მინიუპილოტოზო თავიანი აღვილი მოქმედება




ამერიკელმა მეცნიერებმა მინიატურული უპილოტო შექმნეს, რომელსაც კამერისა და ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფით დამოუკიდებლად ორიენტირება შეუძლია და მისიის შესრულებისთვის მხოლოდ სამიწის მითითება სჭარდება. ვოფლეი ეს მინიუპილოტოს საკმაო პერსპექტივას უქმნის რთულ პირობებში, მაგალითად, ქალაქში ბრძოლის დროს გამოყენებისთვის. არცთუ ძვირფასი აღჭურვილობით აპარატს ადამიანებისა და ობიექტების იდენტიფიცირება, ხოლო ნაგებობებში მოგზაურობა ოპერატორის დაუნაზღვრებლად შეუძლია. საგარეოდად, მომავალში ქალაქში ბრძოლებისთვის ასეთ რობოტ-აპარატებს გამოიყენებენ. ფაქტობრივად, თითოეულ ჯარისკაცს საკუთარი რობოტი-ფაქტორში ექნება, რაც მის შესაძლებლობებს ბევრად გაზრდის. თავისთავად მიკრორობოტებისთვის მოწინააღმდეგის განადგურებისთვის იარაღის შექმნაც გამოირიცხებოდა არ არის.

# რინური რესპირანტი — იზრკანი თავი პარაზიზანად!

უცნაურობანი სხვაზე ნაკლებად არ უყვართ ჩინელებს, რომლებიც არც გამოიმგინებლობის ნიჭის ნაკლებობას უჩივიან. ახლახან მათ გამოქვეყნებული, რომელსაც 1968 წელს ვოფილი კომუნისტური სამხედრო ლიდერი, მარშალი ლინ ბი-აი ერთგვარ შტაბბინად იყენებდა, „სამხედრო ბარად“ გადააკეთეს. ბარის ფასად იმ სამხედრო თვითმფრინავს ჰგავს, რომლითაც სიკვდილის შემდეგ სამშობლოს მივლდატელ გამოცხადებულმა ბი-აიმ მონღოლეთის თავზე ფრენისას კატასტროფა განიცადა. ბარის სტუმრებს თავი ნამდვი-

ლად ომში გვონებათ, — აქ ავეჯის მავთულობას ქვემოთ სუფე ტომრები და ტყვეა-წამლის ყუთები ასრულივუნ. ინტერნეტს კი საარტილერიო ჭურვები, ნადებები და ავტომატები აღამაზებენ. მაგედანვე სუფრებად გადაფენილი ძველი პარამუტები კლიენტებს სიმყუდროვის შგვრინებას უქმნის, სადაც სინათლე ძველი ბომბებისგან გავეთხებული ლამპებიდან მოედინება. ბარის ჭურს კომუნისტურსიმბოლიანი დროშები ამშვენებს, კვლავებს კი მარშალის ფოტოსურათები და კომუნისტური ღიზუნგები.



# ისრაელმა ირანთან შესაძლო ომში თავის მოსახლეობაში მსხვერპლი გაამოთვალა



ისრაელის თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტებმა მოამზადეს პროგნოზი, სადაც მოყვანილია დანაკარგი იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა ლიბანურ მოძრაობა „ჰეზბოლასთან“, სირიასა და ირანთან ომს დაიწყებს. პროგნოზის თანახმად, „ჰეზბოლასა“ და ირანთან ბრძოლა ისრაელის 200-მდე სამოქალაქო პირის სიცოცხლეს შეიწირავს. თუკი მძიმე მოქმედებებში სირიაც ჩაერთვება, მაშინ დანაკარგი 300-მდე გაიზრდება. ანაღიზი იმ რაკეტების რაოდენობის გათვალისწინებით გაკეთდა, რომელიც ისრაელის პოტენციური მოწინააღმდეგეების განკარგულებაშია. მკვლევრებმა ასევე გათვალისწინეს ისრაელის არმიის მომზადების დონე და წინა ომებში დაშვებული შეცდომები. როგორც ირკვევა, ისრაელის სამხედრო ექსპერტებს ყველაზე ნაკლებად ირანის შირი მანძილის რაკეტებისა ეშინათ. მათი ვარაუდით, ირანული რაკეტების დიდი ნაწილი ფიასკოს სტარტზევე თუ არა, ისრაელამდე გზის ნახევრის გავლის შემდეგ, ტექნიკური მიზეზებით განიცდის. ამას გარდა, თანამედროვე რადარებით ებრაელები ირანში რაკეტის სტარტს 15 წუთში დააფიქსირებენ, რაც მათ მოსახლეობის დროულად ევაკუაციის საშუალებას მისცემს.

## ბელორუსიელი სპეცრაზმელები ახალი დელტაპლანებით იფრენენ

ბელორუსის შვიარადებელი ძალების სპეციალური ოპერაციების დანაყოფი 2015 წლისთვის ახალი ტიპის დელტაპლანერს T-2M-3-ს მიიღებს. ამას გარდა, სპეცრაზმი სამამულო წარმოების უპილოტო აპარატ „მოსკიტია“ და რუსული „ლასტოჩკით“ აღიჭურვება. ბელორუსელები სპეციალური ოპერაციების ძალების გადაიარაღებასა და მოღერწნივების დიდი გულისყურით ეკიდებიან. უკვე დაწყებულია მუშაობა გადასატანი პერსონალური კომპიუტერების შესაქმნელად, რომლითაც მებრძოლა მოქმედების მართვასა და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლაში დაქმნარება.



## აშშ-ის სამხედროებს სამსახური პორნოსივების დათვალიერება აუკაცალს

აშშ-ის რაკეტსაინჟინერო-ტექნიკური ოფისის სააგენტომ თანამშრომლებს შეატყობინა მოსთხოვა, თავი დაანებონ სამსახურებრივი კომპიუტერებით პორნოსაიტებზე ძროძივას.

თანამშრომელთა ცუდლუტობამ თვით ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ჯონ ჯიამსი აღაშფოთა, რომლის თქმითაც, პორნოსაიტებზე შესასვლელად სააგენტოს ქსელის გამოყენება არაპროფესიონალური ქმედებაა და თან ორგანიზაციის შიდა ქსელის უსაფრთხოებასაც საფრთხეს უქმნის.

რაკეტსაინჟინერო-ტექნიკური ოფისის სააგენტოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც გაფრთხილების შემდეგაც შევლენ აკრძალულ საიტებზე, დისციპლინარული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

## ქიმიური იარაღის გომინფორმაცია სამხედრო გომინფორმაციის სარეზერვუარო დაინაზს



## აშშ-ის სამხედროებს სამსახური პორნოსივების დათვალიერება აუკაცალს

აშშ-ის რაკეტსაინჟინერო-ტექნიკური ოფისის სააგენტომ თანამშრომლებს შეატყობინა მოსთხოვა, თავი დაანებონ სამსახურებრივი კომპიუტერებით პორნოსაიტებზე ძროძივას.

თანამშრომელთა ცუდლუტობამ თვით ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ჯონ ჯიამსი აღაშფოთა, რომლის თქმითაც, პორნოსაიტებზე შესასვლელად სააგენტოს ქსელის გამოყენება არაპროფესიონალური ქმედებაა და თან ორგანიზაციის შიდა ქსელის უსაფრთხოებასაც საფრთხეს უქმნის.

რაკეტსაინჟინერო-ტექნიკური ოფისის სააგენტოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც გაფრთხილების შემდეგაც შევლენ აკრძალულ საიტებზე, დისციპლინარული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.



დიდ ბრიტანეთში თავდაცვის სფეროში მომუშავე ლაბორატორიის მკვლევარებმა შექმნეს საღებავი, რომელსაც ქიმიური იარაღის ტოქსიკური ნივთიერებების შიანთქმა შეუძლია. ახალი საღებავების გამოცდა ბრიტანულ საბრძოლო ტანკებზე იგეგმება.

ახალი საღებავის საიდუმლო მასში შემავალ სილიკატულში, რომელსაც ნეკროალბატინური გაზების შუქვის უნარი აქვს. სწორედ ის აბრკოლებს გაზის საბრძოლო ტექნიკის საღებავში შეღწევის.

დაბინძურებული ზონის დატოვების შემდეგ, ტექნიკის კორპუსიდან საღებავის მოშორება მარტვად შეიძლება და არც დამატებით დეზინფორმაციის მოითხოვს.

ახლა ბრიტანელებს ისრა დარჩენილი, დამცველი „საღებავი“ კამუფლაჟის ფერებს შეუხამონ.

# „ლურჯი ანგელოზები“ სივლის თავეა

# ლიბელ სამხედროებს ავღანეთში ქიჩვი არ შეეკრათ



დალევასა და მოლხენას რა ჯობს, მაგრამ ავღანეთში საერთაშორისო მისიის შესრულების დროს, სადაც შენგან 24-საათიან საბრძოლო მზადყოფნას ითხოვენ, ჭიქების დაჭახუნებასა და ბანცალ-ბანცალით სიარულს არაფერია გააბიჯებს.

როგორც ჩანს, ამ შვედების მაღალად გამეორება განსაკუთრებით ლიტველ სამხედრო მოსამსახურეებს სჭირდებათ. აგერ უკვე მეთრედ ავღანურ მისიაში ჩართული ლიტვეური კონტინგენტებიდან

სამხედროები სიმთვრალის გამო დაითხოვეს.

ნაქეფარი სამი ლიტველი — სამხედრო-საპაერო ძალების პილოტი, ინჟინერი და ბორტოპერატორი ქაბულში სამხედრო პოლიციამ გამოიჭირა. ისინი სამსახურებიდან დაითხოვეს და სამშობლოში გაამგზავრეს.

მგავის ამბავი 2 წლის წინაც მოხდა, მაშინაც სამი ლიტველი ოფიცერი ავღანეთიდან სამშობლოში წსრურედ ლოიობის გამო გაუშვეს.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების უმაღლესი პილოტაჟის საავიაციო ჯგუფის, „ლურჯი ანგელოზების“ საჩვენებელი ფრენების ხილვა რიგით მოკვდავთათვის ერთ რამედ ღირს. როგორც წესი, საბოლოტაჟედ დემონსტრაციასას მფრინავები გამანადგურებელ-გომბდამშენ FA-18 Hornet-ს იყენებენ და დაბად სიჩქარეზე მანყერებით მავურებელთა თვალს ახარებენ.

„ლურჯი ანგელოზები“ ცამი ბოლოს აგვისტოში, ამერიკის ტერიტორიაზე გამართული გრანდიოზული ფესტივალის Seafair-ის დროს აიჭრნენ და სიეტლს გადაუფრინეს. რა თქმა უნდა, განთქმული ჯგუფის მფრინავების მოწვობილი აეროშოუ სიეტლში გამართული ღონისძიების კულმინაცია გახდა.



## ბაიკაჩი სავალე სნავლავისა

რა დასამაღია, ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის იარაღსხმული გოგონების თქმა აქტუალობას არასდროს კარგავს. კამუფლაგის ფერებში „შეღებილი“, ფარავაში „გამოპრანჭული“ ავტომატმომარგეუბელი ლამაზმანები თვალს სხვანაირად იტაკებენ. ფოტოკორესპონდენტთა ობიექტეში განსაკუთრებით ხშირად კი ისრაელის არმიის ემხიანი ქალები ხვდებიან. ამ ფოტოზე ისრაელის არმიის ინსტრუქტორები არიან აღბეჭდილი, რომლებიც „საველე კვირულის“ დროს მორიგე წვრთნების ჩასატარებლად ემზადებიან. საველე სწულების კურსი, ძირითადად, ისრაელის არმიის გოგონებისთვისაა გათვალისწინებული და ყოველწლიურად იმართება.

## პეზავაონი ჰირთხაგის განვრთნას იწყებს

ფაქტია, რომ ცხველებს გაცილებით უკეთ შეუძლიათ ასავთქეფილი ნივთიერების აღმოჩენა, ვიდრე ადამიანის ხელით შექნილი უახლეს დეტექტორებს. სწორედ ამიტომ სამხედროები ტერიტორიის განაღმვისას ვერ ტექნიკურ საშუალებებს იყენებენ, შემდეგ კი სპეციალურად გაწვრთნილი ძალებს.



თითო ძაღლის მომზადება და შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება და ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამ საქმეში ადამიანის მგვობრობას ძაღლები არანალები ეფექტურად მდრღნელები

გაუწვევენ. განაღმვის სპეციალისტებმა არჩევანი ვირთხაზე შეაჩერეს, გარდა იმისა, რომ ის ძაღლები მატარადა ვველგან პერება, მისი შენახვა და ტრანსპორტირებაც გაცილებით იოლია.

როგორც ირკვევა, პენტაგონმა უკვე დაიბუღა კერძო კომპანია, რომელიც ნაღმის აღმოჩენის ვითარების განსაწვრთნელ ავტომატიზებულ სისტემას შექმნის.



# კრემლი ომისთვის ორი წელი ემზადებოდა, თუმცა, ქართული არმიისთვის ზალს დაელოდა...

## 7 აგვისტოს მიწაზე ქართული არმიის არტილერიის მიერ გორის მიდამოებში ცხინვალისკენ გახსნილი ხეხსელი გაპოიყენა მოსკოვმა იმის სავადად, რომ რუსიან გვირაბისკენ ჯავახაკმლონები დაეძრა



თუ ვინ დაიწყო ომი 2008 წლის აგვისტოში, დღემდე განხილვის საგანია, თუმცა, ის ფაქტი, რომ სუვერენული სახელმწიფოს — საქართველოს ტერიტორიაზე მუხობელი რუსეთიდან შემოიჭრა სამხედრო ძალა, აშკარად მაინშეს აგრესორის ვინაობას.

თავად რუსეთში, აგვისტოს ომის მეოთხე წლისათვის გამოჩნდა ანონიმური ფილმი „დაკარგული დღე“, რომელმაც დიდი ავითრება გამოიწვია. ფილმის ავტორები, რომელთა ვინაობა უცნობია, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მამინდელმა პრეზიდენტმა მძევლებმა ვერ გამოიხინა თვით და საქართველოში რუსული ჯარების გადასროლა ერთი დღით დაავიანა. პენსიაზე გასული რუსი გენერლები, მათ შორის რუსეთის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ოური ბალუევსკი ფილმში აცხადებს, რომ არა მამინდელი პრემიერ-მინისტრი პუტინის ზეწოლა, პრეზიდენტი მდევდევ ვერ მოახერხებდა ჯარების შევანზე ბრძანების გაცემას.

ბალუევსკი და ფილმში ნაჩვენები რამდენიმე გენერალი დარწმუნებული არიან, რომ მძევლებს ვერ კიდევ 7 აგვისტოს რომ შემოეყვანა საქართველოში ჯარები, ბევრი ოსი და რუსი სამხედრო გადარჩებოდა.

გენერლებს ამ ბრალდებაზე ოკუპირებულ ცხინვალში მყოფთა აქტივინდელმა პრემიერ-მინისტრმა მძევლებმა

პასუხი გასცა, — ჯარების შეყვანის ბრძანება გუგუცი მამინ, როდესაც საჭირო იყო — არც ადრე და არც გვიანო.

მძევლებს აღარ დაუკონკრეტებია, მაგრამ ფაქტია, რომ ბრძანება გასცა სწორედ იმ საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, რომელიც ქართულმა არტილერიამ 7 აგვისტოს მიწურულს, შუალისას გახსნა.

მართლაც ქართული არტილერიის ზალი რომ გახდა რუსული სამხედრო შენაერთების შემოჭრის საბაბი, მტყვევლებს ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის ყოფილი სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი ხრულევსის (რომელიც მოგვიანებით ცხინვალში ქართველმა სამხედროებმა დაჭრეს) ერთ-ერთი ინტერვიუც. რუსი გენერალი აღიარებს, რომ ჩრდილო კავკასიის ოლქის სარდლისგან ვერ კიდევ 5 აგვისტოს მიღო ბრძანება, გაეღიერებინა რუსული სამხედრო კონტინგენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ქართული არტილერიის ზალიის შესახებ მას მამინე შეატყობინა კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა კულაბხეროვმა.

8 აგვისტოს 0:03 სთ-ზე (ანუ ქართული არტილერიის ზალიდან რამდენიმე წუთში) ხრულევმა არმიის შტაბში გაახსენებინა საიდუმლო კონცერტი, სადაც გაწერილი იყო რუსეთის საბრძო-

ლო დანაყოფების საქართველოში როკის გვირაბის გეულით შეჭრის სქემა.

გენერალ ხრულევსის ტაქტიკებით 8 აგვისტოს 1:40 სთ-ზე პირველმა საბატალიონო ტაქტიკურმა ჯგუფმა გამოიარა როკის გვირაბი, მის ჩრდილოეთ პორტალში კი უკვე მთორე ჯგუფი შემოდიდა.

თავის მხრივ, 693-ე მოტომორლოელი პოლკის მეთაური ანდრეი კაზანკო აცხადებს, რომ 8 აგვისტოს 0:20 სთ-ზე მიიღო ბრძანება ცხინვალისკენ დაძვინისა და 6:30 სთ-ზე მისი საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი უკვე ჯავახაკში იყო. მის ჯგუფს მიჰყვებოდა თვითმავალი არტილერია, რომელმაც 8 აგვისტოს 15:00 სთ-ზე ცხინვალის მისაღვომებთან ცეცხლი გაუხსნა ქართული ჯარის დანაყოფებს.

პრეზიდენტ მძევლებს მართლაც 7 აგვისტოს რომ დაეწყო ჯარების შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, ეს საუკეთესო დასტური იქნებოდა რუსული სამხედრო ავღანიის უპირობო დამტკიცებისა მთელი მსოფლიოსთვის. მაგრამ მძევლები უკეთეს მომენტს ელოდა, საბაბს, მოელო საინფორმაციო ომი და ამისთვის კრემლისთვის საუკეთესო მომენტი იყო 7 აგვისტოს მიწურულს გახსნილი ქართული არტილერიის მასირებული ცეცხლი.

ირაკლი ალადაშვილი

# როგორ სსოვრობან გვირავის ახლოვლები

## სსოვრება ოინს შედეგია

ავად მოსაგონარი თვა, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებისთვის, ვინც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ბრძოლას თავისი ახლოვლები უტყვიან. ისინი ცხოვრებას გმირის ღირსად, მამის, ქვრივის სტატუსით აგრძელებენ. ეს სტატუსი საამაყო, მაგრამ ძალზე მძიმე... ჩვენ შევეცადეთ, გავვერკვია, როგორ ცხოვრობენ ქართველი გმირების ოჯახის წევრები.

მათ ოჯახებში ხშირად ვყოფილვარ სტუმრად და მინახავს, რომ როგორც ქართული ოჯახების უმეტესობას, მათაც არ უღიბნით, მაგრამ არიან წინააღმდეგობა.

საქართველოს უახლეს ისტორიას ტრეგედისაგან შემოიწია მძვინვარებად ომების გმირობის აზრები. ისინი გორის ცალკეულ ჯარისკაცებსა და მებრძოლებს მსახურობდნენ. ორივე მხარე ერთ დღეს 8 აგვისტოს დღივით, ოღონდ სხვადასხვა ტანკში. ერთ-ერთის ცხედარიც კი ვერ იპოვეს.

### მარაზ რომელაშვილი, გაა და გელა რომელაშვილების მამა:

„ორივე შვილი ცხინვალში დაქვრივდა, იმ ქალაქში, საიდანაც 1991 წელს ეთნოკონფლიქტის გამო წამოვიდა მამინი გაა II წლის იყო, გელა — 7-ის. ბიჭები გორში გაიზარდნენ, გორის უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტი დაამთავრეს, ორივე კარატისტი იყო, გაას შვიი ქაშარცი ჰქონდა. საქართველოს არმიამ 2004 წელს ჩაირიცხნენ. გაას ამ დროს სამხედრო აკადემია დაამთავრებელი ჰქონდა, გელა კი სწავლას აპირებდა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მძვინვარებად გორის ჯარისკაცთა ბატალიონში მსახურობდნენ, გაა ოცმეათე იყო, გელა — ოცეულის შემთხვევა. როგორც თითქმის, ცხინვალში პირველად სწორედ ჩემი ბიჭების ტანკები შესულან. სულ ხუთი

ტანკი ყოფილა, პირველი ტანკი გიორგისა იყო. მამინ ოცმეათე იყო. ქართულ სატანკო კოლინას წინ №406 ტანკი მიუძღოდა, რომლის ეკიპაჟში იყვნენ: მეთაური, ლეიტენანტი გიორგი რომელაშვილი, მსროლელი კაპრალი ზაზა ბირთველიშვილი და მძლელ-მექანიკოსი კაპრალი ითარ სუხიტაშვილი. გორიდან კოლინა ჯერ ნიქოში, შემდეგ თამარაშხვიში, იქიდან კი ცხინვალში შევიდა.

ცხინვალში, მოსკოვის ქუჩაზე, პირველად გელას ტანკი აფეთქეს, ის მძას უკან მიხდებოდა. მეორემ ვერ გაიგო, უკან ტანკები რომ აუფეთქეს და გზა განაგრძო. რომელიდაც კუთხეში შესულა და მერე საით წვიდა, ვერ დაინახა. გელას ტანკის აფეთქების შემდეგ, ტანკიდან ამოსულა მოუსწრია და რომელიდაც შენობაში შეფარდნილა. თურმე იქ ოსები და რუსებიც შტაბი ყოფილა. ტყვედ აიყვანეს, მთელი დამე ჭაბუკს და დილით

დახვრიტეს. გაიას არაფერი იცინა, ტანკი მთლიანად განადგურდა. ოსების მამინდელი თვადიკის მინისტრ ბარანკოვის პირადად აუფეთქებია მისი ტანკი. ნაწილებად ყოფილა დაშლილი, ჩემი შვილის ცხედარიც არ არსებობს. ორი წელი დაკარგულის სტატუსი ჰქონდა გიორგის, შემდეგ სასამართლო ჩატარდა და გარდაცვლილის სტატუსი მისცეს. გელა კი მუხათგვერდმა დასაფლავებული. მართალია, გაას ცხედარი ვერ იპოვეთ, მაგრამ მასაც მუხათგვერდში გაუკეთეს საფლავი, თავის მძას და თანამებრძოლებთან ერთად. მას შემდეგ იქ ყოველ 8 აგვისტოს მათ მფლობელებთან ერთად მფლავებენ ჩემი შვილები საქართველოს შუქიერენ, სამშობლოსთვის დადეს ოჯი და ვე მაცოცხლებს და მამლიერებს. გააკაცები რომ იყვნენ, ეჭვი არ მუპარებოდა. ორივე კარგი სპორტსმენი იყო, ხელობაც იცოდნენ, მაგრამ მათინცდამინც ვარში სამსახური არიეს.

მარშან, 2011 წელს, გორში, ვერხვების დღინათა დასახლებაში მძვინვარებად რომელიაშვილების სახელობის სკვერი გაიხსნა. გიორგის ქალიშვილი ნანა 9 წლის არის, ხოლო გელას მარაში კი — 4-ის. აქე ვაგობლებით ცხოვრებას მათ გარეშე.“

**ლილია წულაძე, რუსეთ-საქართველოს ომი გმირულად დაღუპული 41-ე ბატალიონის კაპრალ რუსლან წულაძის დედა:**

„ომი დამავსო, ყოველდღე ეკლესიაში დაედიდი, ჩემი შვილისა და მისი



მგობრების გადარჩენისთვის კოლეგულობდნენ. ერთ დღესაც შევიძინე, რომ მუხობლები რაღაც სხვაგვარად მიყურებდნენ და ტრიონდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიმიტყვევია, ვთვითქმევ, ქვეყანაში იმედა და ვეჭვად დაბრუნდა-მეთქი. თურქულ ვიდეო (ცივად ჩემი შვილის დაღუპვის ამბავი. მერე ავტობუსში ჩემ უკან მგობრები მუხობლების ფორმას დაპარაკა მუხობსინე, თანასივლელს უყვირდა, სამი მძრომ არის, იმითან ერთ-ერთი მოუკლავითო. ვკითხე, ვისზე ამბობ-მეთქი, გაოგნებულმა შემომხედა და დაინხა, თქვენ არ იცნობთ, ოზურგეთში ცხოვრობსო, მითხრა. თურმე ჩემი შვილის სიკვდილის ამბავს ვეჭვობა.

რუსლანი ძალიან განსხვავდებოდა ძმებისგან. საიცარად მოსიყვარული იყო. ისეთი შერჩენა ჰქონდა, რომ მისი სიკეთე და ძალი ვეჭვას ვყოფილა. მშვიდა და გაწონასწორებული იყო, უყვარდა ბუნება. ხატუნდა, ხისგან ულამაზეს ფაგურებს აკეთებდა, პატარა ქანდაკებებს სხამდა. უფსაქოდ არასდროს მჯდარა, ყოველთვის რაღაცით იყო დაკავებული. საქართველოს ისტორია უყვარდა უზომოდ. ოცნებებდა საქართველოს ვეჭვად კუთხის შემოღობვაზე. სამხედრო საქმე პატარაობიდან უყვარდა, 8 წლისამ მითხრა, მშობელი სამხედრო ფორმას ვიდისო. ფული არ გვექონდა და რუსლანმა სთხოვა, სიმინდნი გაგვიყვებოდა. მკათო კლასამდე იმ ფორმით დადიოდა. როცა ჰკითხავდნენ, სამხედრო ფორმით რატომ დადიხარო, ჯარისკაცი ვარო, დიმილით პასუხობდა. კითხულობდა წიგნებს იარაღზე, სამხედრო ტექნიკაზე, ვეჭვადურის ცოდნა უნდოდა.

ნიგოციის სკოლა დაამთავრა, შემდეგ სამხედრო სამსახური მოიხდა სენაკის ბაზაში და კვლავ სოფელში დაბრუნდა. სამი თვის შემდეგ კი პოლკონიკი ვიდა ჭულიძე ნახა შემთხვევით და შინ დაბრუნებულმა მითხრა, საკონტრაქტო სამსახურში წასვლა გადაწყვიტეო. მეორე ბრიგადის საინჟინრო ასეულში მსახურობდა, განამდგელი იყო, სერჟანტი... ცოლის მოყვანა უნდოდა. შეყვარებული ჰქონდა, მაკა. ხშირად ამბობდა, ბერი შვილი მინდა მყავდეო. მაკა დღესაც მუქმინება, მკითხულობს... მასაც ჩემი შვილად მივიჩნევ. 21 ნოემბერს აპირებდა ქორწილის გადახდას, არ დასცალდა.

20 თვის შინ ათდიანი შეეზულეობით ჩამოსული გაუთავებლად ქორწილსა და... ომზე ლაპარაკობდა. 5 აგვისტოს დამბრეკა, პოლიგონზე მიყვარით სკარავილი და ტელეფონი გამორთული რომ მქონდეს, არ შეგეზინდისო. ეჭვი არ შემპარავია, არ მეგონა, ვითარება

ასე დაბრუნდა თუ იყო. ომი რომ დაიწყო, შიშმა ამიტანა. 9 აგვისტოს დამბრეკა, ოსიურში ვარ, ომში არ მიყვარითო. მკაცრად მითხრა, ნუ გეშინია, ტრანლის მორჩილი. უცებ აფეთქების ხმა გავიგონე, ისევ მიმატყუა. წვინთა, ნუ გეშინია... მას შემდეგ სულ გამორთული ჰქონდა ტელეფონი.

მინდოდა, იქ, სადაც ჩემი შვილი დაიღუპა, წელიწადში ორჯერ მედივარ პირველად რომ ჩავედი, ომი ახალი დამთავრებული იყო, მისას სისხლის კვალი ეტყობოდა. ჩემი შვილის დაღუპვის ადგილიდან მინა წამოვიღე, როცა მოუკვლები, მინდა, გულზე დამაქარან. მეორედ რომ ჩავედი, სისხლის მინდერი უკვე მწვანედ იყო აბინებულნი, იმ ადგილას, სადაც ჩემი შვილი და მისი მგობრები დაიღუპნენ. ჯვარი ალუმინითი და გული გამინათდა. სანამ ცოცხალი ვარ, მინდისმ ვედი, იმ ადგილს არასდროს შევტოვებ, იქ დაიღვარა ჩემი შვილის სისხლი, ის ხომ მხოლოდ 24 წლის იყო.

ადრე სიცოცხლე არ მინდოდა, ახლა, პირიქით, მინდა დიდხანს ვიცოცხლო და ბერი რომ გავაკეთო მისთვის. რუსლანს ჩემი სოფლის ცენტრში მშობრიალი დაუდგეს. მინდა პატარა სამლოცველო აუშენო მის სახელზე, სადაც ვეჭვად დაღუპულ გმირს მითვინებს ხალხი. ვეჭვად დაღუპულ ჯარისკაცს მინდა მოეჭვრო. ისინი დემეთთან არიან. მინდა ვეჭვად შეიშლკვარა დედას ვუთხრა, — გამაგ-

რდნენ, ჩემი შვილები სამშობლოში დაიღუპნენ და მათი სახელები ქორის ასობით ჩაწერება ისტორიაში!"


**მარიანა ზვირიძე, მე-4 ქვე-ობრიგადის 42-ე ბატალიონის კაპრად ვახტანგ გზირიშვილის დედა:**

„როცა ვახი მისას მგობარე, მეგონა, მეც იქ დავიბრუნდებო ცხოვრებას. სულერთად მეც იქ გარდავიცეკვლა, მაგრამ მისეც ვსურთქე, დედევარ, მის წილ სითბოსა და სიყვარულს ჯარისკაცებს ვუხარებ. ვეჭვად ჯარისკაცი ჩემი შვილი მტონია, ვეჭვად სამხედროფორმინამი გეზის ვუტყვ დღემდე დედევარ ვაზინას სამხედრო ბაზაში, სადაც მას ჯარისკაციანასა და ქვეყნის სიყვარულს ასწავლენენ.“

უფლის ძალითა და ჩემი შვილის სიყვარულით ჩამოვყალიბე „ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელობის საქველმოქმედი ფონდი“, რომელსაც სამი მზანი აქვს: ტაძრის მშენებლობა, რომელიც ჩემი შვილის სახელზე წამოვიწყე, ამასთან, მინდა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების შვილებსა და მშობლებს, რითაც შემხილა დეკემბარი: ვმუშაობთ წიგნზე „ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელობის საქველმოქმედი ფონდი“, სადაც აგვისტოს გმირების ამბავი იქნება მოთხრობილი. საქმის ნახევარი უკვე გაკეთებულია. ჩემი შვილი სამშობლოს სიყვარულსა და ქვეყნის დაცვას შექმინა. ამის მიღმა თუ ვინმეს პოლიტიკური



ლილია წულაძე ვახთან, რუსლანთან ერთად



**ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელზე მშენებარე ტაძარი**

ინტერესი იდგა, ამას უფალი განსჯის. ყოველდღე თუ არა, ყოველკვირა მაინც მიტრეკვენ ჩემი შვილის მგობრებუი. მათ რომ ეუფურებ, ასე მეოინა, ჩემს შვილს ეუფურებ. საქმეს ვაკეთებ, რომელიც მის სსონას, ცხურებებს უკუემიარდება და ეს მადლებინებს.

თავდაცვის სამინისტროშიც დღემდე ვაგრძელებ მუშაობას. შვილმკვდარი დღისითვის ნუგეში არ არსებობს, მაგრამ საქმე, რომელსაც ვაზოს სახელით ვაკეთებ, ცხურების გაგრძელების ძალას მადლებს\*.

**ლელია თანდავშილი, კაპიტან ალექსანდრე თანდავშილის დედა:**

„7 აგვისტოს დამბრეკა, დედა, მე-დღეარო. მგონა, ჯარი მაპყავდა პოლიგონზე. არ მითხრა, სად მძიდალა. თურნა, იმი დანყებულა და მე არ ვიცოდი. მითხრეს, 8 აგვისტოს, მეორე დამბრეკის დღოს, ჩემს შვილს თავისი რანზი უნებლად გამოუყენებია ნიქონამდე. ნიქონში დააწიეს სიტყვა, შვინ მგობარე ერეკლე ყულთშვილი მოკლესო. მის გამოსაყვანად შესულა. შვიდა და ისიც იქ დარჩა... ერთი გოგონა დარჩა. ჩემი შვილიშვილი დედასთან ცხურებოს.

შვილის დაკარგვის შემდეგ ცხურებდა მძილა, მაგრამ აღკა საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას შექმარა, იმ საქმეს, რომელიც მისთვის უმბრავსესი იყო, სიცოცხლეზეც კი. ამიტომ მე, გმირის დედას, არა მაქვს მორალური უფლება სოციალურ პრობლემებზე, ადა-

მანურ ტკივილზე ვიწწწუნო, თუმცა, სატკივარს რა გამოიძიებს\*.

**მამა ჩიპჩილაძემ, ვახაიანს მე-4 ქვეითი ბრიგადის 41-ე პატალიონის კარლ გიორგი ანუხელიძის მეუღლე:**

„ჩემს პირველეს დაღუბნილი ბავშვობა არ ქვილიდა. მამა აუღმყოფო იყო, ვერ მუშაობდა და გიორგის ვერ კიდევ პატარობიდან დააწე მძიმე ტვირთი, დედასთან ერთად ის ინახუდა ორ დას, მამას, გამზრდელ მამიდას, მუშაობდა, ცხარეში დადიდა, მტრე ჯარში გაიწიეს და მას შემდეგ ჯარში მსახურობდა. 18 აგვისტოს აქვს დაბადების დღე, 27 წელი შეუსრულდებოდა. ომში რომ წვიდა ჩვენი ბავშვ ლეკნი 10 თვის იყო. მეორეზე ვიყვი ფეხმძიმედ. გიორგი ისე წვიდა ომში, ბავშვის სქესი არ იცოდა, უნდადა, გოგონა მყოლიდა და ასეც მოხდა, — ახლა პატარა ანა გვეყვს. ახალდაბადებულ ჩვილს ცვალი ფილტვი დახურული ჰქონდა, თვე-ნახევარი აპარატზე იყო მიერთებული იამშროლის კლინიკაში. თავდაცვის სამინისტროს თანადგომით, ქვეითა ძალისხმევით ანა მდგომარეობიდან გამოვიდა...“

იმი რომ დაიწყო, მე-4 ბრიგადაში მეტკევიამფრევეის თანამშემედ მსახურობდა. ჩვენ მამინ ძეგურბა ვისვენებოდა, კარგად მახსოვს, თოხმზაბათი იყო და ვიხზე, იქნებ პარასკევს ჩამოხვიდე მეთქი. ჩამოვლო, თითქოს დახორბდა არ გვიხრდოდა, თითქოს ვგმინობოდი... 8 აგვისტო რომ თუნდებოდა, სამინელე-ბა ატყდა, თავიდან მიწისებრა გვეგონა, მთელი სახლი ზანზარებდა, სარდაფში

ვიმალბოროდი. მისი ნაწილიდან დამბრეკეს, გიორგის მობილურზე ზარი ჰქონდა გათიშული და ვერ გაიგო... მამიდამისთან დეურეკე გვიანი იყო, მამიდამ გააღვიდა გიორგი. მამისეე წასულა... მტრე დაეურეკე და ვიხზე, თავს გაუფრთხილდითეთქი. ომი დამთავრდა, ჯარი თბილისში დაბრუნდა, გიორგი კი არ ჩანდა, არც ცოცხალი, არც მკვდარი. დალუკული გვეგონა და ვყვლან ვეჭვბდით

ოქტომბერში ნათესავმა ოსის ქალმა, რომისის გაფიც ოსურ ჯარში მსახურობდა, მითხრა, გიორგი ცოცხალია და ორი კვირის წინ ვლადიკავკაზში გადაიყვანესო. იმედე გავეინდა, იქნებ ცოცხალი იყოს-მეთქი. ერთ დღეს ვაკვივო თურმე „ალანია“ იღებდა ფილმს, სადაც იყო კადრები, თუ როგორ აწამებენ ოსები ქართულ ჯარისკაცს, მეთიზე ბრეგადის სერჟანტ გიორგი ანუხელიძეს. „ალანიას“ მკეკითხით და ფილმის გასვლამდე უნახო ოს კადრები, სადაც გიორგი წვლხმეოთ შშმველია, თვჩაღწუნული, სქემსენ და თან ვითხებოდნენ, გუშინ სად იყავიო. პასუხობდა, არ ვიცო. შემდეგ გონება დაკარგა და წყალი შეასხეს. გიორგი ტყვედ ჩაერდნილა. მისი მძაკეცა, თანამებრძოლი იყო ამოსული ჩვენიან, ნასვამი იყო და ვითხრა, არ უნდა გუუხენებოდიო, მაგრამ ეუკადრ ვითქმე, გიორგი ფეხში დაიკეცა, 9 აგვისტოს, ბოლო შეტაკების დღოს, სამმა ბავშვმა ნახა. ეხვეწებოდა, გიორგი, აქ არ დამტოვოო, წამოყვანეთ, სახლში ფეხმძიმე ცოლი მუხუსო და არ წამოიყვანეს, მძიმე ხარ და ვერ გათრეოთ. ვერ დაუდგენეთ, ვინ იყოს ის სამი კაცი. არ ვიცო, ქვეი მაქვს, თითოს იყო იმ სამიდან. ალბათ, მძიმედ იყო დაჭრილი, თორემ გიორგი ტყვედ არ ჩაერდნიდა. იხიც ვიცო, რომ ჩემი ქმარი ასე არავის მიატოვებდა.

ვიცოდიოთ, რომ ცოცხალი იყო და ვეძებოდი მაგრამ 20 თანერს მოვკვივდა პასუხი, რომ დაიღებდა. არადა, იმ კადრებში ჩანდა, რომ გიორგი მარტო იყო ტყვედ. 2008 წლის დეკემბერში ერთხმე აპარებდა წასვლას, ვეჭვებოდი, არ წახვიდე, უშორედი ერთი წელი რა გაძლებს-მეთქი. ახლა სულ წვიდა. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, როგორ ვცხურებო უნისიდ? ვცხურებო, შეივლებს ვზრდ, მის სსონას ეინახუ და გმირი ქართულის ქვეითის სახელს ვატარებო.

PS. გვირეკელებოდა ინფორმაციით, გიორგი ანუხელიძე ცხინვალში ტყვედ ჩაერდა. მას მტერი დახოქმება, საქართველოს დროშაზე ვეჭვებოთ შედგომასა და მისვის ცოცხას აძილებდა, მაგრამ წაწადღეს ვერ მძიდა.

ლალი პაპასპირი

# ყარაბაღისკენ საქართველოს გაველით?!

ყარაბაღის ომში  
სომხეთის ღახეკარებს  
თუჩვეთი რუსეთს  
არ უჩრევს

შეიარაღებული დაპირისპირების  
ზოლზე ყარაბაღში ყველდღიური  
ორმხრივი სროლა სომეხ და აზერ-  
ბაიჯანელ სამხედროებს შორის ჩვეუ-  
ლებრივი მოვლენაა. ამიტომაც მისი  
გადაზრდა უფრო ფართომასშტაბიან  
საბრძოლო მოქმედებაში ყველთვის  
მოსალოდნელია.

რა პოზიციას დაიკავებს ორი გველე-  
ნიანი მებრძოლი — რუსეთი და თურქე-  
თი, თუ ყარაბაღში ომი განახლდა?

ამაზე ოფიციალური განცხადებები  
არ კეთდება, თუმცა, რამდენიმე დღის  
წინ თურქეთის პარლამენტის წევმა,  
სტრატეგიული კვლევების ცენტრის  
დირექტორმა საინან ოგანმა სენსა-  
ციური ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ  
თურქულ საინფორმაციო საშუალებას:  
„თუკი რუსეთი სომხეთს რაიმე სახის  
სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს, ეს  
კონფლიქტში ჩაითრევს არა მარტო  
სომხეთს, არამედ რუსეთსაც და სხვა  
ქვეყნებსაც, არ დაფიწვონ, რომ ეს ომი  
ძიმე მდგომარეობაში თუად რუსეთსაც  
ჩააგდებს“, — თურქი დეპუტატის ეს  
მუქარანარევი განცხადება ყურადსა-  
ღებია, მით უმეტეს, რომ საინან ოგანმა  
დააკონკრეტა, — თუ ომი დაიწყო და  
რუსეთი სომხეთს დაეხმარება, მაშინ

რუსული სატანკო კოლონები 2008  
წლის აგვისტოს ომის დროს თბილი-  
სიდან ორმოციოდე კმ-ში შეჩერდნენ,  
თუმცა არსად წასულან. რუსული  
ტანკები ოკუპირებული ცხინვალისა  
და ახალგორის მიდამოებშია თავმო-  
ფრილი. არ არის გამორიცხული, ყარა-  
ბაღში ომის განახლების შემთხვევაში,  
სომხეთის დახმარების მიზნით რუსეთ-  
მა სცადოს ჯგუშანსატანკო კოლონების  
გაყვანა ოკუპირებული ცხინვალისა  
სომხეთის მიმართულებით



თურქეთი აზერბაიჯანის მხარეს დადგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოფიციალურმა ბაქომ არ სიხოვია ანკარას.

თურქეთის „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრი პარლამენტარის ეს განცხადება სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთის ხელისუფლება სწორედ ასე მოიქცევა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ თუ ყარაბაღის ომის განახლდა, თურქეთი აზერბაიჯანს დაუჭერს მხარს, შეიძლება სამხედრო ძალითაც კი.

სწორედ ეს გარემოება საქართველოსთვის საინტერესო, ანუ თუ თურქეთი აზერბაიჯანისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას გადაწყვეტს, როგორი გზით გააკეთებს ამას — საერთო საზღვრიდან მიიტანს იერიშს სომხეთზე თუ საქართველოს გველით გადაუზიდავს აზერბაიჯანელ მოკავშირეებს შეიარაღებას.

ასეთ შემთხვევაში საქართველოც ერთგვარად ჩათრეული იქნება ამ ომში, რადგან სომხეთი ყველანაირად შეეც

დება, ჩამალოს თურქეთიდან აზერბაიჯანისთვის შეიარაღების მიწოდება, რისთვისაც საქართველოზე გამაფლ სატრანსპორტო მაგისტრალზე არც დივერსიული აქტების ჩატარებაზე იტყვის უარს (მათ შორის სომხური ეროვნების საქართველოს მოქალაქეების გამოყენებითაც).

თუცის მხრივ, რუსეთს ხელი აქვს მოწერილი სომხეთთან კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებაზე, რომელიც სომხეთში დისლოცირებული რუსული 102-ე სამხედრო ბაზის ამოქმედებას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუკი სომხეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეჭრის საფრთხე შეიქმნება, ანუ მოსკოვს ოფიციალურად აქვს აღებული ვალდებულება სომხეთის დაცვაზე და დახმარებაზე.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი არ გადგება განზე, თუ ყარაბაღში ომი დაიწყო და შეეცდება სამხედრო დახმარება გაუწიოს სომხეთს.

ამ შემთხვევაშიც დახმარების მარშრუტი რუსეთიდან სომხეთამდე ისევ საქართველოზე უნდა გავიდეს, იქნება ეს სამხელეთი თუ საჰაერო გზა.

სახმელეთო გზის გაჭრა საქართველოზე სომხეთამდე რუსეთის ალბათ, ძალიანძვირი გზით მოუწევს, რასაც დაგმობს დასავლეთი. საჰაერო გზის გამოყენება შედარებით უფრო მარტივია, მაგრამ ბევრად ძვირი.

მართალია, საქართველომ ჩაკეტა თავისი საჰაერო სივრცე რუსეთიდან სომხეთისკენ მფრენი რუსეთის შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავებისთვის, მაგრამ თუ ყარაბაღის ომის განახლდა, მოსკომა შეიძლება განახლოს საჰაერო ხიდი სომხეთისკენ და საექვრა საქართველოს ხელისუფლებამ გაბედოს რომელიმე რუსული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის ძალით დასბა ან სულაც ჩამოგდება.

გეკურს თუ არა, ყარაბაღში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედების განახლების შემთხვევაში საქართველო ირიბად მინც იქნება ჩათრეული.

**ირაკლი ალაღაშვილი**

**თურქეთის არმიის სატანკო კოლონა. ყარაბაღის ომის განახლებისას, თუკი თურქეთი აზერბაიჯანს შეიარაღებით დაეხმარება, ანკარა ქართული გზების გამოყენებაზე იფიქრებს**



# სირიის კრიზისი

## ახლო აღმოსავლეთში სექტუარი დიქტატის ხანა მთავრდება



დღეს მიუღი მსოფლიო სირიის მოვლენებს შეუფოთებით ადვენებს თვალყურს. ევროკავშირმა ამ ქვეყანას უკვე სანქციებიც დაუწესა, რასაც შეუერთდა საქართველოც.

სირიის ამჟამინდელი ხელისუფლების უმთავრეს მხარდამჭერებად რუსეთი და ირანი მოიაზრება, ხოლო ოპოზიციის უკან დასაყდელის ქვეყნები და თურქეთი დგანან. ამიტომაც ცხადია, სირიის კრიზისი არ არის მხოლოდ რეგიონური მნიშვნელობის პრობლემა, — მას ისეთივე გლობალური მნიშვნელობა აქვს, როგორც თავის დროზე, 1914 წელს, სარაფოს გასროლას ჰქონდა და მართლაც, დიდი ნაწილი აცხადებს, რომ სირიასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმა შესაძლოა მესამე მსოფლიო ომიც კი გამოიწვიოს.

სირიის კრიზისის წარმოშობა მიზეზი, რასაკვირველია, მხოლოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის ტრადიციული დაპირისპირება კი არა, უმთავრესად ე. წ. სექტუარი დიქტატობა.

საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სირიის ხელისუფლება შიიტურნი ისლამის უკიდურესი ფრთის მიმდევრების, ალავიტების ხელთაა, არადა, სირიის მოსახლეობის 80%-ზე მეტი სუნიტი მაჰმადიანია. ამ ქვეყანაში ქრისტიანიც ბევრია, ალა-

ვიტა პროცენტული მაჩვენებელი კი სხვებთან შედარებით არაფერისმთქმელია. მიუხედავად ამისა, ალავიტები სირიაში ყოვლისშემძლენი არიან.

### სირიის პირველი კრიზისი: კავშო ალ-ასადის „სამძვენი საბაშირონი“

ალავიტები, ანუ ნუსაირიტები შიიტურნი ისლამის რადიკალური ფრთის მიმდევრები არიან. მათ მოძღვრებას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა დვითისმეტყველმა აბუ შაბ მუჰამად იბნ ნუსაირმა. თავდაპირველად, მის მოძღვრებს მხოლოდ „ნუსაირიტებს“ ეხებდნენ, მაგრამ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა სირია ერთა ლიგის მანდატით სამართავად საფრანგეთს გადაეცა, „ალავიტთა“ სახელით არიან ცნობილი.

ალავიტების რელიგიური შეხედულებები საკმაოდ განსხვავდება სუნიტებისა და შიიტების სხვა დაჯგუფებათა შეხედულებებისაგან. ალავიტობა არის ისლამის, ქრისტიანობის, მანიქველობისა და წარმართობის ნახავე. მის რელიგიურ დოგმატსა და ლაიტმოტოვად გასდევს „სამშების“ პრინციპი: მუჰამადი (მოციქული), ალი (მეოთხე ხალიფა) და სალმან იბნ ალ-ფარისი (მუჰამადის მედინელი თანამებრძოლი,

ერონებით სპარსელი). ამ სამებიდან მათთვის ალი ალაბის მიწები განსხვავდება და მას დიდ პატივს მიაგებენ.

სირიის გარდა, ალავიტები სახლობენ ლიბანსა და თურქეთში (პათიასა და ადანას ილგებში, სირიის მოსახლეურედ). თავად სირიაში მათი განსახლების არეალია ჰომსის, ლატაკიას, ტარტუსისა და ჰამას მუჰაფაზები (საგუბერნატორებში). ალავიტები ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფად იყოფიან: ჩრდილოეთის, ანუ „მზის“ და სამხრეთის, ანუ „მთვარის“ ალავიტებად. ჩრდილოეთის ალავიტები უფრო მეტად თურქეთში ცხოვრობენ, ხოლო სამხრეთისანი — სირიასა და ლიბანში. ასადა კლანი, რომელსაც სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი ეკუთვნის, სამხრეთის, ანუ „მთვარის“ ალავიტების ლიდერია.

ალავიტები სხვა მუსლიმანებისგან განსხვავებით, ალკოჰოლზე უარს არ ამბობენ, ოღონდ ღირის ხორცს არ ჭამენ. გარდა ამისა, ოფიციალურად აღნიშნავენ იესო ქრისტეს (მათებურად — ისა იბნ მარამის) შობისა და აღდგომის დღესასწაულებსაც; ხოლო რამაზანის თვეში მარხულობენ მხოლოდ პირველ ორ კვირას და არა მთელ თვეს, როგორც სხვა მუსლიმანები. პატივს მიაგებენ ქრისტიან მოციქულებსაც.



ბაშარ ალ-ასადის  
 მომხრეები სახელმწიფო  
 დროშაზეც გამოსახევენ

ქრისტიანებთან ალაივტების ასეთი „სიახლოვე“ შეუმჩნეველი არ დარჩენილია სირიაში მისულ ფრანგებს: თუ იქამდე, ოსმალთა მფლობელობის დროს, ალაივტთა თემი უკიდურესად დაჩაგრული იყო და შკაცრად იდევნებოდა, ფრანგებმა მათ ხელ-ფეხი გაუხსნეს და ჩრდილო სირიაში მარიონეტული რესპუბლიკაც შეაქმნვეთ, რომელიც 1924-30 წლებში დე ფაქტო არსებობდა და მერე ფრანგებისავე სურვილით ისევ სირიას შეუერთდა.

სირიიდან ფრანგების წასვლის შემდეგ, ალაივტებს ისევ შვეიცრეთმა და დევნა დაუწყეს, სუნიტები მათ ისლამური დოკუმების შეურაცხველია და ქრისტიანებთან სიახლოვეს არ პატიობდნენ.

1950-70 წლებში ალაივტებს სირიაში უკვე არც ერთი გულებიანი პოსტი აღარ ეჭირათ და მეტეც, ქვეყანას მასობრივად ტოვებდნენ. თითქმის ერთადერთი ალაივტი, რომელიც სირიის პოლიტიკურ წრეებში ისევ ჩანდა, იმპერინდელი პრეზიდენტის, სალამ აჯ-ჯადიდის მარჯვენა ხელი გენერალი ჰაფეზ ალ-ასადი იყო.

ასადი და მისი გარემოცვა — ალაივტთა დიდკაცობა — პანარაბული მემარცხენე პარტია „ბაასის“ წევრები იყვნენ. „ბაასი“ კი აქცენებს არა ისლამზე, არამედ არაბულ ნაციონალიზმსა და მემარცხენე იდეებზე აკეთებდა და იმ არაბებსაც, ვინც სუნიტი არ იყო, ან ისლამს არ აღიარებდა, „ბა-

ასში“ წინსვლის მეტი შანსი ჰქონდა. შესაბამისად, ჰაფეზ ალ-ასადი, რომელიც სირიის სამხედრო-საკაპორო ძალების გენერალი იყო, ცდილობდა, მეტი თავისიანი მიეზიდა „ბაასში“ და პარტიაში მთელი ძალაუფლება ალაივტთა ხელში გადასულიყო.

1967 წელს, როდესაც სირია ისრაელთან „ექვსდღიან ომში“ დამარცხდა, ჰაფეზ ალ-ასადსა და პრეზიდენტ სალამ აჯ-ჯადიდს შორის შეშა კატამ გაიბრძინა, — ასადი პრეზიდენტს ებრალულებსადაც „გადამეტყულები მორიდებნი“ გამო სავეფედურობა, ეს უკანასკნელი კი ასადს ებრალეთა ავანტურის შუგს უწოდებდა.

ერთი სიტყვით, ერთი მეგობარი ერთმანეთის დაუძინებელ მტრად იქცა. იმ დროისათვის ჰაფეზ ალ-ასადს საკმაოდ მეარი ზურგი ჰქონდა „ბაასშიც“ და არამაშინ, რადგან ომის წაგებით უკმაყოფილო ჯარისკაცები მას უჭერდნენ მხარს; ამიტომაც სალამ აჯ-ჯადიდის წინააღმდეგ უცებ ააგრო უკმაყოფილების ტალღა, 1970 წელს სამხედრო გადატრიალებაც მოაწყო და პრეზიდენტეც გახდა.

სირიაში ალაივტთა ხელისუფლებაში მოხვლას არავინ ელოდა. ეს იმდენად მიუღებელი იყო, რომ ქვეყცა კი არავინ ეპარებოდა ჰაფეზ ალ-ასადისა და მისი მომხრეების სწრაფ მარცხში. თუმცა, ალაივტი გენერალი ეშმაკი აღმონრდა და მოკლე ხანში ყველა თავისი მოწინააღმდეგე გაანადგურა ან ქვეყნიდან გააძევა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ერთი კაცეც კი არ იყო ისეთი, ვინც ჰაფეზ ალ-ასადს ხელს შეუშლიდა.

ისტორიულად სირიის უპირველეს მოკავშირედ კვეპიტე იყო. ეს ქვეყნები „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის“ სახელით გაერთიანებულიც კი იყო XX საუკუნის 50-იან წლებში, თუმცა, შემდეგ დაიშალა და ამასაც, სხვათა შორის, სუნიტები „ბაასს“ და მის არამუსლიმან წევრებს აბრალებდნენ. ასე რომ, ჰაფეზ ალ-ასადის გადასავადებადც სირიელმა სუნიტებმა ქვეყანაში კვეპიტელ „მუსლიმან ძებებს“ უხმეს.

1976 წელს ჰაფეზ ალ-ასადი და მისი მხედრობა საქვეყნოდ შეაჩვენა დამასკოს მთავარი მექითის იმამმა, რასაც იმ დღესვე მოჰყვა პრეზიდენტის პასუხი, — იმამს დააპატიმრეს, „მუსლიმანი ძებებს“ საქმიანობა კი აიკრძალა, თუმცა ამ უკანასკნელებმა ალაივტებს აჯანყებით უახსუხეს. პირველად ქალაქ ჰამას მოსახლეობა გამოვიდა. ამ ქალაქის მცხოვრებთა 99% სუნიტი იყო და ალაივტებს ადრეც ყველაზე მეტად სწორედ იქ უჭირდათ ფეხის მოკიდება.

ჰამაში დაწყებულმა აჯანყებამ ძალე თითქმის მთელი სირია მოიცავა, მაგრამ ჰაფეზ ალ-ასადს არ შემინებია, — მას მოსკოვის იმედი ჰქონდა, მოსკოვის ძლიერება კი ყველას კარგად მოეჩხენებოდა და მათ შორის „მუსლიმანი ძებებსაც“.

ჰაფეზ ალ-ასადს იმ დროს მხარდამჭერები აშშ-შიც საკმაოდ ჰყავდა, — ალაივტებს ამ ქვეყნის კონგრესში დიდი ლობი ჰყავდათ იმ დროს გაშინტრებნიმ ტარტომლედ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი აღმოსავლეთში ისლამური რადიკალიზმის აღრომინებას ჰაფეზ ალ-ასადი შეშლიდა ხელს. ასევე თვლიდნენ ერმულებიც, იქ სილის დიდიერი იდგური მემარცხენე-მარქსისტად მიანდნენ და ხელს ყველაფერში უწევდნენ.

ამგვარი მხარდაჭრით იმედოცემულმა ჰაფეზ ალ-ასადმა მედგრად კი შეუტია მუსლიმან რადიკალებს, მაგრამ მათი მონივრე შეძლეს და ჰამას გარდა, ალბოც დაიკავეს. ალბოშიმ ალაივტებს რელიგიური სკოლა ჰქონდათ და მუსლიმანთა ძებებს ამ სკოლის ყველა მოსწველე, სულ 100-მდე კაცი, მოლიანად ამოწვივტა. ჰაფეზ ალ-ასადმა ეს გამოიყენა და შერტყავნე გაუვადია, — მისმა ჯარმა ალბოში უჭერდნენ აილო და ჰამაც, თან ასეულობით სუნიტი ჩა-

ხოცა. ერთი სიტყვით, აჯანყება ჩაახშო.

ამასთან, პაფუზ ალ-ასადს ისიც არ დაეწეებოდა, რომ სირიის მოსახლეობა დიდი ნაწილი სუნიტი მუსლიმანი იყო და აჯანყების ჩახშობის შემდეგ, სუნიტური ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადდა. თანაც, თავდაც დაწასკის მათარე მქრეთი პარასკეის ლოკუტებუ (ამ დღეს მუსლიმანები მქრეთში ერთად ლოცულობენ და ამას „ჯუმა ნამაზი“ ჰქვია) დაიწყო სიარული. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, პაფუზ ალ-ასადმა შეძლო სიტუაციის დარეგულირება, მაგრამ არა საბოლოოდ.

### სირიის ამაჰმინდელი პაროზის: რა შედეგობში დასვა ბაშარ ალ-ასადმა

გენერალი პაფუზ ალ-ასადი 2000 წელს გარდაიცვალა. მისი სურვილისამებრ, პრეზიდენტად მისი ვაჟი — ბაშარ ალ-ასადი აირჩიეს. ამ უკანასკნელს ასპარეზზე გამოსვლამ შეტად როულ დროს მოუწია, რადგან მსოფლიოში უკვე სხვა ვითარება იყო და გეოპოლიტიკური ორიენტაციებიც იცვლილობდა. აღვითურე ხელისუფლებას გაშინგტონში უკვე აღმაცერად უფურბდნენ, ხოლო მოწოდებუ კი საკუთარი პოზიციებიც შევიწინდით და ახლო აღმოსავლეთის საქვეშეში ჩარეგას აღარც ფიქრობდნენ.

ბაშარ ალ-ასადმა მამისგან კარგად იცოდა, რომ ძლიერი მოკავშირის გარეშე აღვითურე კლანის ძლიერებას ბოლო მოეღებოდა. ისიც კარგად მოესენებოდა, რომ ქრისტიანებთან უწინდებურ სიახლოვეს მუსლიმანი რადიკალები, რომლებიც რეგონში უკვე განუზომოდ გავლენით სარგებლობდნენ, არ მოუთმენდნენ. ამიტომ ორიენტაცია შიიტურ ირანზე აიღო, პარალელურად კი ფლერტი გაბაბ ერაჟის იმეჰამინდელ ხელისუფლებასთანაც, — საღამ პუჟეის ბაშარ ალ-ასადმა აღვითობრე შიიტებთან ურთიობაში შუამგელობა შესთავაზა, სამაგეოროდ კი მოკავშირეობა სთხოვა. ასე წარმოიქმნა სამთა კავშირი: ერაჟი-სირია-ირანი.

რად თქმა უნდა, უმცროსი ასადის ასეთი ქმედებებს გამინგტონში ადგეკატური შეფასება მოჰგვა და ამერიკელებმა ხსენებულმა სამთა კავშირი ბოროტების დერმად მონათლეს.

სწორედ ამ დროს მოხდა II ხეკტემბრის ტერაქტებიც და აშშ-ს მიუცა კაუსუ ბელი (ომის გამიცხადების

ფორმალური საბაბი) ჯერ ავღანეთში, შემდგომ კი ერაჟში შეკრიბისათვის.

სუნიტები ბაშარ ალ-ასადს კვლავინდებურად ვი თვალით უფურებდნენ ირანიან მჭიდრო კავშირის გამო, თუმცა, აჯანყებას ვლარა ბედვდნენ, რადგანაც ბაშარ ალ-ასადს არმთასა და პოლიციამო უამრავი მომხრე ჰყავდა და უშეშროების სისხტემაც ბრწყინვალედ ჰქონდა აწყობილი.

ვაშინგტონელი გეოპოლიტიკოსები, რომელთაც ახალი სტრატეგისის შეუშუგება ვვლებოდათ, კარგად ზედვიოდნენ, რომ ჯერ „ალ-ქაიდას“, შემდეგ კი საღამ პუჟეისის რეჟიმის დასუსტეგა-განადგურება არაფრისიმოცემეს იქნებოდა, თუ შემდეგ აღვითებისა და რადიკალ სუნიტ მუსლიმანებს არ დააპირისპირებდნენ. თავის მხრე, ეს გამოიწვევდა სუნიტურ-შიიტურ გლობალურ დაპირისპირებასაც, რადგან ბაშარ ალ-ასადის ზურგს უკან ირანი იდგა; ამით კი ისარგებლებდა აშშ და ვველას ცალცალკე მოუღებდა ბოლოს.

ოლივერ კრომველი ინგლისის სამოქალაქო ომის დროს საბარლამენტო არმიის გენერალ-ლეიტენანტი იყო და როიალისტების დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა. ამის შემდეგ მან უელსი, ირლანდია და შოტლანდია დაიმორჩილა. ახალი მოდელის ჯარის შექმნაშიც მითილი მონაწილეობა, რამაც ბრიტანეთს მისი სიკვდილიდან საუკუნეების განმავლობაში შეუნარჩუნა სამხედრო ძლიერება.

დიდადა ჰანტინგლონში, 1599 წლის 25 აპრილს. 1628 წლამდე, სანამ პარლამენტში შევიდოდა, კრომველი მემამულე იყო. 20 წლისამ სარწმუნოება შეიცვალა, პურიტანი გახდა და ეკლესიისა და პოლიტიკის რომაული კათოლიციზმის გავლენისგან გათავისუფლება განიზრახა.

## ოლივერის ჯარი

როდესაც კათოლიციზმის მომხრე ჩარლზ I-სა და პარლამენტს შორის სამოქალაქო ომი ატყდა, კრომველმა კემბრიჯის ციხესიმაგრე დაიკავა. მართალია, უკვე ორმოცს იყო გადაცილებული და არც სამხედრო გამოცდილება პკონდა, მან მხოლოდ „ზნეკითი და ღვთისნიერ კაცებს“ მოუყარა თავი კავალერიაში. კრომველს მაინდა, რომ მხოლოდ რელიგიური გულმოდგინება შეაძლებინებდა მეფის კარგად გაწერთინლ ჯერთან შებრძოლბას. მან თავისი შეპირები ორ-ორი კაჟის პისტოლეტითა და 90-სანტიმეტრიაანი ორპირა ხმლით შეაიარადა, ცხენდაც-ხენ ბრძოლაკ ასწავლა, რათა მანერვირბეაკ შესძლებოდათ და უკან დახევაკ.

ასე მტერს უფრო იოლად მოიხელღებდნენ. როგორც კი განლაგებულდნენ, პისტოლეტებს ისროდნენ და ხმლებს იმისუღებდნენ.

ამ ტაქტიკამ გაამართლა და კრომველმა აღმოსუღეთ ინგლისში გრენოთშიან, ბარლეი-პუსთან, გენისბოროსა და უინსბისთან 1643 წელს არაერთხელ სძლია როიალისტებს. ერთი წლის შემდეგ კრომველის კავალერიაამ პარლამენტის ჯარი დაამარცხა მარსტონ-მურთან. ეს გადაწყვეტი ბრძოლა იყო. შედეგად, პარლამენტის წევრ ოფიცერებს „თეთილუარევისი აქტიო“ გადადგომამ მოუწიათ, გარდა კრომველისა, რომელმაც ახალი მოდელის ჯარი ჩამოაყალიბა ბრძოლის ველზე სახელმწიფეკლ ოფიცერებთან ერთად.



ქალაქ ელის ამ სახლში ოლივერ კრომველმა ბავშვობა გაატარა



# ყველაზე დიდი აკომა საქართველოს ისტორიაში!

- 3D-ში გაცოცხლებული დიდგორის ბრძოლა!
- მოძრავი ჩანართები ყველა გვერდზე!
- სავიზუალური ალბანური მრავალენოვანი!



ნიკითხუთ ნიგნის ვალაჩიხუნი!

## ღაპრით აღგზუნებული

ნიგნები ალბილხე მიტანიტი — ელვა.ჯი  
tel.: 2 38 26 73; 2 38 26 74; 2 38 26 76 www.elva.ge

### რეკოლუციის დღეა

1645 წლის 14 თინის ახალმა ჯარმა როიალისტები ნეისისთან დაამარცხა, 1648 წელს კი, როდესაც უფროე სამოქალაქო ომი დიწყო, შეიქმნა აჯანყება ჩაახში და მეფის შოტლანდიელ მხარდამჭერთა ჯარს პრესტონთან 16 აგვისტოს ბრძოლა მოუგო.

1649 წელს ოლეერ კრომველი ერთი-ერთი იყო იმ 135 საგანგებო რწმუნებულთაგან, რომელთაც მეფის სიკვდილის ორდერს მოაწერეს ხელი. ამის შემდეგ მან ირლანდია ჩააწინარა და დანბარსა და ეუსტერთან მეფე ჩარლზ II-ის ძალები დაამარცხა.

კრომველს მეფის ტახტი შესთავაზეს, ის კი ლორდ-პროტექტორი გახდა, რაც სამხედრო დიქტატურის

სრულ უფლებას ანიჭებდა მეფისთვის ანგარიშის გაუწველად. მალე კრომველი კათოლიკურ, მძლავრ კოლონიურ ესპანეთის დაუპირისპირდა და ვესტ-ინდიეთში თავისუფალი ცურვა მოითხოვა. ამასთან, პურიტანული რეპულების მოხერხებას ლაიბოდა ორეფ ამერიკაში და სამხედრო ექსპედიციაც კი ვაგზუნა. მიზანს ვერ მიაღწია, სამაგიეროდ, იამაიკა იგლო ხელი. 1652 წელს პირველი ინგლისურ-პოლანდიური ომიც წაიწყო და 1654 წელს გამარჯვებით დაასრულა.

კრომველი 1658 წლის 3 სექტემბერს მალარიით გარდაიცვალა ლონდონში. მისი ცხედარი საიდუმლოდ მაიბარეს ვესტმინსტერის სააბატოში, ოფიციალურ დაკრძალვამდე ცამეტი

დღით ადრე, ოლეერის ადგილი მისმა ვაჟმა, რიჩარდმა დაიკავა, მაგრამ ავტორიტეტი არ ეყო ქვეყნის სამართად. როდესაც 1661 წელს ჩარლზ II ტახტზე დაბრუნეს, კრომველის ცხედარი ამითხარეს და როგორც მეფის მკვლელები და სამშობლოს მოღალატე, სახრებოვალზე ჩამოკიდეს. მისი თვის ვესტმინსტერის სასახლის ბოძზე წამოაკვეს, სადაც ჩარლზ II-ის მეფობის მთელ პერიოდში დარჩა.

### შუბრალებაში ჩაშინარება

● მარსტონ-მურის ბრძოლაში ოლეიერ კრომველის არმიამ გაფინტა როიალისტთა ჯარი, რომელსაც უფლისწული რუპერტი სარდლობდა. ამის შემდეგ ჯარები გადაჯგუფა და საპარლამენტო ლიდერის, სერ თომას ფერფაქსის დასამხარებლად გასწია, როიალისტთა არმიის შუაგულიც ალგამში მოექცია. სამიდან ოთხი ათასამდე მებრძოლი დაეცა, დანარჩენები კი დატყვევდნენ. გარდა ამისა, კრომველმა ხელი იგლო ქვეშევრდები და მეფის მთელი სამხედრო აღჭურვილობა. კრომველი პარლამენტის მოწინავე ჯარისკაცად იქცა.

● ირლანდიის შუბრალებული ჩაწინარების მხეში, ალბათ მანამდე ინგლისელ მოსახლეთა ამოხეცვაში უნდა ვეხიოთ. 1649 წლის სექტემბერში დროედაში, დუბლინთან ახლოს, კრომველმა მთელ გარნიზონს გაუგლო მურის, ომეცა ასევე სასტეკად მოიქცა ბანინ-პოლში, ინგლისში, 1645 წელს, როგორც კრომველი წერდა, ეს „მოხალსე უფრო მეტი სისხლის ღვინის დაიცვამა ქვეყანას“. კრომველი შმშის ზარს სეცემა ვეყლას, ნებისმიერ ქალაქს არბედა, რომელიც კი უარს განაცხადებდა დანებებაზე. ეს იმ დროის იმის კანონი იყო, ამით თავიდან იცილებდნენ მოხალსეში წინააღმდეგობას.

● კრომველი მოეათათო ოუ გადგილიდა იერიშზე, ისიც მოლოდინს მანში, როდესაც რიცხვიორეფ ალგამტეხილა მტერს. მაგრამ დანბართან 1650 წელს მისი თორმეტი ათასი მებრძოლი ორჯერ აღმტეხულ ჯარს შეემა. ოლეერ კრომველმა თავისმა წეიმა და გრევილე გამოიყენა მანკერიბების შესანიშნავად, ჩარლზ II-ის შოტლანდიურ არმიას შეუტია და გაანადგურა კიდევ. მომდებარ წელს კი ამ არმიის ნარჩენებს გაუსწორდა ვესტმინსტერთან და მთელი ბრძანებით ერთი ხელისუფლის დაუქვემდებარა.

მოამზადა

ლევან ინგანაძემ



# გულაუთის აეროდრომი საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ

## გულაუთაში, ბოგოროას სამხედრო აეროდრომი 1992-93 წწ.-ის ავსაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომებში რუსეთთან აქტიურად გაყოივანა საქართველოს გეოგრაფიული მთლიანობის დასაყრდენად

ოკუპირებული ავსაზეთის ქალაქ გულაუთის მარცხნო, ზედ შუი ზღვის სანაპიროზე, განთავსებულია სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო აეროდრომი ბომბორა.

ბომბორას სამხედრო აეროდრომი ფუნქციონირებდა მეორე მსოფლიო ომის დროსაც, როდესაც აქედან აფრენილი შუი ზღვის ფლოტის ბომბდამ-

ყენები ტორპედოებს უშენდნენ გერმანულ ხომალდებს.

ომის შემდგომ ბომბორას აეროდრომმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა კავშირის პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის სისტემისთვის, რადგან აქ დისლოცირებულ გამანადგურებელ-გზაგადამჭრელებს შეეძლოთ აფრენისთანავე გზა გადაეჭრათ NATO-ს

წვერი თურქეთის მხრიდან გამოფრენილი ბომბდამყენებისთვის. პირდაპირი ზავით ბომბორადან თურქეთის საზღვრამდე მხოლოდ 190 კმ-მდე თუ არის (ტრაპიზონამდე 245 კმ), ეს კი საბრძოლო ავიაციისთვის ძალზე მცირე მანძილია, რაც ბომბორას აეროდრომზე განთავსებული გამანადგურებელ-გზაგადამჭრელების ეკაპაუებისგან სწრაფ რეაგირებას მოითხოვდა.

60-იანი წლების ბოლოს ბომბორას სამხედრო აეროდრომზე დისლოცირებული იყო 171-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი, რომელიც ორგანიზაციულად ბაქოს პაერსაწინააღმდეგო თვდაცვის ოლქში შედიოდა.

მაშინ ამ პოლკს არცთუ ისე თანამედროვე თვითმფრინავები ჰქონდა. პირველი ესკადრილია მოქცეული იყო მილ-17 ტიპის გამანადგურებლებით, იყო აღჭურვილი, ხოლო მეორე და მესამე ესკადრილები კი რაკ-28 ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელებით.

ეს „თაკები“ გამანადგურებელი რაკ-25-ის (რომელიც ჯერ კიდევ სტალინის პერიოდში გამოიწინა) მორიგი მოდერნიზებული ვარიანტი იყო და 70-იან წლებში უკვე მოქცეულულად ითვლებოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ

### ბომბორას სამხედრო ნაწილის შტაბის ტერიტორია



თურქეთის აეროდრომზე ამერიკელებმა იმ დროისთვის თანამედროვე დამრტყმელი თვითმფრინავები, მათ შორის F-4F „ფანტომები“ განათავსეს.

არსად ოფიციალურად არ ფიგურავს განცხადებული, მაგრამ უეჭველია, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში თურქეთიდან და საბერძნეთიდან აფრინდლი ამერიკული ტაქტიკური დანიშნულების გამანადგურებელ-ბომბდამშენები შეეცდებოდნენ საპაერო დარტყმა მიეყენებინათ (შეიძლება ბირთვული იარაღის გამოყენებითაც კი) შავი ზღვის სანაპიროს იმ საკურორტო ადგილებსთვის, სადაც საბჭოთა ხელმძღვანელობას — გენერალურ მდიანსა და პოლიტიბიუროს წევრებს უფვარდათ დასვენება.

ასეთ კურორტებს კი სხვებთან ერთად მიეკუთვნებოდა ბიჭვინთაც და მიუსერაც, სადაც ავარაკები ჯერ კიდევ სტალინის ჰქონდა და მას შემდეგ იქ დიდი სიამოვნებით მიემგზავებოდნენ ჩრუშოეიცა და ბრუჟნეეიცა.

იქიდან გამოძინანრე, რომ კოუნსიტური პარტიის კლიტა პირველი რიგში თავის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, მხელი წამოხსნა და არ უნდა იყო, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ბომბორას აეროდრომის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელთა პოლკს, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც მსციოანი პარტიული ბოხები შავი ზღვის თბილ წყლებში ნებებობდნენ.

70-იან წლებში 171-ე პოლკის გადაიარაღება დაიწყო იმ დროისთვის თანამედროვე ზებეგირითი Cy-15TM ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელებით, რომლებიც საბორტე რადიოლოკატორისა და „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვადი რაკეტების შესაძლებლობებით მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოძველებულ ЯК-28П-ს.

თითქოს ბომბორას პოლკის საბრძოლო შესაძლებლობები გაუმჯობესდა და მნიშვნელოვნად გაბლიერდა საბჭოთა პაერსაწინააღმდეგო თვლაცვის სისტემა საზრეთ-დასაუღეთის მმართულებით, მაგრამ 1982 წელს 171-ე პოლკი თავის თანამედროვე Cy-15TM-ებთან ერთად მოულოდნელად მზიური საქართველოდან 7 ათასი კმ-ის დაშორებით, საბჭოთა კავშირის უკიდურეს აღმოსავლეთით, ჩუკოტკაზე, მაგადანის მხარეში გადაისროლეს.

ეს ტრაგედია იქცა ამ პოლკის პილოტების, ტექნიკოსებისა და განსაკუთრებით მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც ამ სამიოზიდან ჩუკოტკის „გამყინვარებაში“ გადადიოდნენ. ამ გადა-




МиГ-17-ები ბომბორაზე 1960-იან წლებამდე შემორჩნენ



ЯК-28П ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები დიდხანს დაფრინავდნენ აფხაზეთის თავზე

1970-იან წლებში ბომბორას აეროდრომზე ახალი Cy-15TM ტიპის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი გამოჩნდნენ



წვეტილებას წინ უძღოდა ერთი მნიშვნელოვანი მფლენა — 1980 წელს პერსიანულ-საბჭოთა ომის დასრულების შემდეგ (რომელშიც რადიოტექნიკური და საჰაერო-სარაკეტო ჯარების გარდა საჰაერო პოლკებიც შედიოდა) გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი ავიაცია სამხედრო-საჰაერო ძალებს გადაეცა (რამდენიმე წლის შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეცდომად ჩაითვა და გამანადგურებელ-გზაგადამჭრელთა პოლკები ისევ პერსიანულ-საბჭოთა ომის დასრულების შემდეგ დაუბრუნეს).

საერო-საჰაერო ძალებს ბომბორას პოლკის Cy-15TM-ები შეუზღვევებდნენ საბჭოთა კავშირის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვართან დასჭირდათ. ანდროში, უგოლნის აეროდრომზე გადაყვანილი 171-ე პოლკი აღასკიდან მხოლოდ 700 კმ-ით თუ იყო დაშორებული.

მაშინ უგოლნის აეროდრომს სტრატეგიული მნიშვნელობის ძალზე გასაღებელი ამოცანის შესრულება ეკისრებოდა. შესაძლო მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონებიდან გამოფრინულ სტრატეგიულ ბომბდამშენებს ამ აეროდრომზე უნდა შეეცხოთ საწვავის მარაგი და აუღოთ ბირთვული ბომბები (ბირთვული იარაღის გასაღებელი მისიქსემა საწყობი „პორტალი“ აეროდრომიდან 10 კმ-ში იყო განთავსებული). ბომბორას ყოფილი პოლკის Cy-15TM-ებს კი ამ ბომბდამშენების გაყვლა და დაცვა ეკისრებოდათ, თუკი ისინი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტისკენ აიღებდნენ გზას.

ამით 171-ე გამანადგურებელი საჰაერო პოლკის მრავალწლიანი ისტორია დაკავშირებული ბომბორას აეროდრომ-

თან, დამთავრდა, თუმცა, გუდაუთის ქუჩებში მალე გაურუჯავი სახედროები გამოჩნდნენ, რომლებსაც მანამდე ჩუკოტკაზე შვე ენატრებოდათ.

საქმე ის არის, რომ 171-ე პოლკის ჩუკოტკაზე გადასროლის პარალელურად, უგოლნის აეროდრომზე მანამდე დისლოცირებული 529-ე გამანადგურებელი საჰაერო პოლკი ბომბორას აეროდრომზე გადმოიყვანეს, ანუ მოხდა ერთგვარი როტირება.

ამ პოლკის ოფიცერთა ოჯახები და განსაკუთრებით ბავშვები სხარულით ცას ქეჩენენ, რადგან პირველად ნახეს ხეზე ჩამოკიდებული მანდარინი და შეეძლოთ ზღვაში გვიან შემოდგომამდეც ეჭუჭუმალათ.

სამაგიეროდ, გუდაუთელმა ისევ დაუბრუნდათ რეაქტიული ძრავების აუტანელი გრუხები, რადგან 529-ე პოლკმა ჩუკოტკიდან თავისი შეიარაღება — ისევ ის მოძველებული AK-28P-ები ჩამოიყვანა, რომელთა აფრენისას ფორსაჟის რეჟიმში ჩართული რეაქტიული ძრავები გუდაუთაში სახლების ფანჯრებს აზანზარებდა.

სხვათა შორის, 1985 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის სათავეში მოსულმა გორბაჩოვმა „პერესტროიკის“ დაწყება გამოაცხადა, გუდაუთელმა გაბედეს და მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტში საჩივრის წერილი გაგზავნეს, — ბომბორას აეროდრომიდან აფრენილი სამხედრო თვითმფრინავების აუტანელი ხმაური დაძინების საშუალებას არ გვაძლევს და გთხოვთ სხვა ადგილას გადაიტანოთ.

ცოტა ხანში მათ პასუხი მიიღეს — სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ბომბორას სამხედრო აეროდრომს ხელს ვერ ვახლებთ, მაგრამ თუკი თქვენ გეჭრით მის სახალევს ცხოვრება, შევძილდა დაგვებართ, რომ საცხებრებლად საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში, მაგალითად, ფაზახეთში ან ციმბირში გადავიყვანოთ.

1982 წელს ჩუკოტკიდან აფხაზეთში ჩამოყვანილმა პოლკმა ბომბორაზე ისევ მოძველებული AK-28-ები ჩამოიტანა



აფხაზეთიდან ვახაზეთში გადასვლის მსურველი, არა თქმა უნდა, არაა ვინ იქნებოდა და ეს პრობლემაც მიჩნეულა.

1986 წელს პოლკი თავის გამანადგურებლებთან ერთად ზაფხულში აზერბაიჯანში, ნახსენის აეროდრომზე გადასროლეს, რადგან ბომბორაზე აეროდრომის კაპიტალური რემონტი მიმდინარეობდა. აეროდრომის ბეტონბრეტული საფარი 2,5-დან 3 კმ-მდე დააგრძელეს, რათა გორბაჩოვის ოთხბრაიან სამგზავრო Ил-62-ს შესძლებოდა დამუება და მიუსერისა და ბიჭვინთის სტალინის აგარაკებზე დასვენება.

ბომბორაში დაბრუნებულ პოლკს 1987 წელს უკვე არა მარტო ტექნიკურად, არამედ მორალურად მოძველებული ЯК-28П-ების ჩანაცვლება იმ დროისთვის გასაიდუმლოებული, უახლესი, მე-4 თაობის Cy-27 ტიპის გამანადგურებლებით დაუწყეს.

Cy-27-ები ბომბორაში პილოტებს უშუალოდ კომსოილსკ-ნა-ამურეს საავიაციო ქარხნიდან ჩაჰყვდათ და სასწავლო ფრენებს უშუალოდ შვაი ზღვის თავზე ასრულებდნენ.

აქ აუცილებლად უნდა შევეხოთ ბომბორას აეროდრომის ერთ არააფიშირებულ, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან პლუსს — ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ერთი მხარე უშუალოდ გადის ზღვის სანაპიროზე (ბილიკის ბოლოდან ზღვის ნაპირამდე ასოლდე მეტ-

რია), რაც აეროდრომიდან აფრენილი თვითმფრინავის პილოტს საშუალებას აძლევს დაბალ სიმაღლეზე, ზღვის ზედაპირიდან 30-50 მ სიმაღლეზე გაავრძელოს ფრენა და სიმაღლის ზრდა აეროდრომიდან რამდენიმე ათეულ კმ-ში, ნეიტრალური წყლების თავზე დაიწყო. ასეთ შემთხვევაში თურქეთის სანაპიროზე განთავსებული მძლავრი რადიოლოკაციური სადგურები ვერ ახერხებენ ბომბორას აეროდრომიდან აფრენილი თვითმფრინავის დაფიქსირებას და მას მოგვიანებით უკვე ნეიტრალური წყლების თავზე, უშუალოდ თურქეთის სანაპიროს სიახლოვეს თუ შინაშევერ.

მიუხედავად ასეთი ტაქტიკური უპირატესობისა, სამოქალაქო პერიოდში პილოტებს ეკრძალებოდათ ზღვის მხარეს აფრენა. სტარტი კავკასიის მთების მიმართულებით იწყებოდა და მცირე სიმაღლის ადების შემდეგ პილოტები მარცხენა მანევრით ზღვისკენ გადიოდნენ. ზღვის მხარეს აფრენის უფლება მხოლოდ სატრანსპორტო თვითმფრინავების ეკიპაჟებს ეძლეოდა უსაფრთხოების მიზნით, რადგან რამდენიმე ათეულტონიანი საფრენი აპარატის მანევრირება მთების სიახლოვეს სახიფათო იყო. ასევე ზღვის მხარეს სტარტს იღებდნენ იმ მორიგე გამანადგურებლების პილოტები, რომლებსაც განგაშზე აფრენა უწყვედად და ყოველი წამში მნიშვნელოვანი იყო.

ბომბორას აეროდრომიდან აფრე-

ნილ გამანადგურებელ-გზაგამართლებებს არავითხელ ჩამოუვლიათ სადაზვერუო აპარატურით აღჭურვილი აეროსტატები, რომლებსაც დასულეთიდან საბჭოთა კავშირის ცისკენ უშვებდნენ.

1992 წლის 14 აგვისტოდან ბომბორას აეროდრომის ახალი ისტორია დაიწყო, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევ ბრძოლებთან.

ჯერ იყო და, 14 აგვისტოს აფხაზეთმა სეპარატისტებმა თითქოსდა იერიში მიიტანეს აეროდრომის სიახლოვეს მდგარი პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილზე და მისი საიარალო ოთახებიდან ათასზე მეტი პისტოლეტი, ავტომატი და ტყვიამურევეი გაიტანეს (გასაკებია, რომ არავითარი თუ დასხმა არ ყოფილა და რუსულმა სპეცსამხაზურებმა თავადვე გაუღეს საწყობის კარი). სხვათა შორის, განთიადში ქართული საზღვაო დესანტის გადასხმისა და ფსოუზე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩაქრვის შემდეგ ბლოკადაში მოქცეული სეპარატისტები იარაღით სწორედ ბომბორას სამხედრო აეროდრომის საშუალებით მარაგდებოდნენ, სადაც სხდებოდნენ რუსეთთან თუ ბულონოსიდან გამოფრენილი სატრანსპორტო თვითმფრინავები.

ამ სტატიის ავტორს 1992 წლის შემდგომზე გახურებული იმის პერიოდში ორჯერ მოუწია გულაუთაში, ბომ-

**1987 წელს ბომბორაზე დისლოცირებული 529-ე პოლკი იმ დროისთვის საიდუმლო, უახლესი Cy-27-ებით გადაარაგდა**





ბომბორას აეროდრომის ერთი მხარე უშუალოდ გადის ზღვის სანაპიროზე, რაც აეროდრომიდან აფრენილი თვითმფრინავის პილოტს საშუალებას აძლევს დაბალი სიმაღლეზე, ზღვის ზედაპირიდან 30-50 მ სიმაღლეზე გაავრბელოს ფრენა და სიმაღლის ზრდა აეროდრომიდან რამდენიმე ათეულ კმ-ში, ნეიტრალური წყლების თავზე დაიწვოს. ასეთ შემთხვევაში თურქეთის სანაპიროზე განთავსებული მძლავრი რადიოლოკაციური სადგურები ვერ ახერხებენ ბომბორას აეროდრომიდან აფრენილი თვითმფრინავის დაფიქსირებას



ბორას აეროდრომზე ჩასვლამ ტყვეების გაცვლის პროცესზე დასასწრებად და თავისი თვალთი ნახა, თუ როგორ იცლებოდა სატრანსპორტო თვითმფრინავები.

სატრანსპორტო თვითმფრინავების გარდა, აეროდრომზე იდგა ორი Cy-27 ტიპის გამანადგურებელი და ოთხი Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, რომლებიც ბომბაუდნენ როგორც ქარ-

თულ არმიას, ისე სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობას.

მაშინ მოსკოვი ყოველმხარე ცდილობდა დისტანცირებას და არ აღიარებდა თავისი საბრძოლო ავიაციის ქართული მხარის წინააღმდეგ გამოყენების ფაქტებს, თუმცა, ვინც იმ ომში იყო, კარგად ახსოვს, თუ როგორ გვბომბავდნენ ბომბორადან აფრენილი რუსული მოიერიშეები.

2012 წელს რუსეთში გამოიქცა წიგნი, სახელწოდებით Штурмовик-ი, რომლის ავტორი ალექსანდრ კოშკინი აღიარებს, რომ 1993 წელს მარტო მან ბომბორას აეროდრომიდან 60-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა შეასრულა სოხუმისა და ქართული დანაყოფების დასაბომბად.

1993 წლის 19 მარტს სწორედ ბომბორას აეროდრომიდან აფრინდა

**დღეს ბომბორას აეროდრომზე მე-7 რუსული საოკუპაციო სამხედრო ბაზაა განთავსებული**



Cy-27C, რომელსაც მაიორი ვაცლევ შაპკო მართავდა. მას ვვლებოდა აფხაზეთის ცაში ქართული მოიერიშეების აღმოჩენა და ჩამოგდება, თუმცა, სავარაუდოდ, მან ღამით დაკარგა ორიენტაცია და თავისი გამანადგურებელი სოფელ შრომასთან ტყეში შეიჭრა. თვითმფრინავი დაიმსხვრა, პილოტი დაიღუპა. გამანადგურებლის ფრაგმენტზე გამოსახულ წითელ ვარსკვლავს მაშინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ჯიბი უკაკუნა და რუსეთი აფხაზეთის ომში საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაში დაადანაშაულა.

სავარაუდოდ, 1992 წლის ბოლოსთვის რუსეთმა კიდევ ერთი, Cy-27 დაკარგა, — ბომბორას აეროდრომიდან აფრენილი გამანადგურებელი შვედური აფხაზეთის ომში საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაში დაადანაშაულა.

აფხაზეთის ომის შემდგომ ბომბორას აეროდრომს რუსი ცისფერანოვებუტანების ძირითად ბაზად იყენებდნენ, სადაც მათი რამდენიმე შეეკუმფერენი, მათ შორის საბრძოლო Ми-24-ები ბაზირებდა.

2008 წლის აგვისტოში ბომბორას აეროდრომზე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით რუსეთიდან საპაერო-სადელსანტო ჯარების დანაყოფები



აფხაზეთის ომის დაწყებამდე, 1992 წლის 17 ივლისისთვის გუდაუთაში, ბომბორას სამხედრო აეროდრომზე დისლოცირებული 529-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის შეიარაღებაში 24 Cy-27 და 4 შეეკუმფერენი Ми-8 იყო. პოლკის პირადი შემადგენლობა 1047 კაცს ითვლიდა. პოლკი 1992 წლის ოქტომბერში ბომბორადან რუსეთში, პრივოლნსკის აეროდრომზე გადაიყვანეს. ბომბორაზე კი სხვა ნაწილებიდან როტაციის პრინციპით გზავნიდნენ რამდენიმე Cy-27-სა და Cy-25-ს

გადმოისროლეს, რომლებიც შემდეგ დასაკლეთი საქართველოში შეედნენ და სხვაკაცი სამხედრო ბაზა დაიკავეს.

დღეს ბომბორას სამხედრო აეროდრომზე აფხაზეთში რუსეთის მე-7 საოკუპაციო სამხედრო ბაზა დისლოცირებული. მის შეიარაღებაზე „არსენალის“ გასულ ნომრებში დაწვრილებით ეწერდით და ამიტომ ამ თემაზე აღარ შეეწერებოთ.

ჯერჯერობით ბომბორას სამხედრო აეროდრომი არ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით, თუმცა კი რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ აეროდრომზე საავიაციო შენაერთის განთავსების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ის დაუყოვნებლოდ აღდგენის თვის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ირაკლი ალადაშვილი



ყველა თაობის  
საყვარელი გაზეთი  
1934 წლიდან





# საგაბაჟო ავიასია

## იღმის ჩასახვა

საფრენი აპარატების საზღვაო ხომალდებზე გამოყენების იდეა დიდი წარსული აქვს. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაძლებლობები იზრდებოდა.

პირველად ხომალდებზე, როგორც დაზვერვის საშუალება, XIX საუკუნეში საჰაერო ბურთები გამოიყენა.

რა თქმა უნდა, ჰაერზე მძიმე საფრენ აპარატებს უფრო დიდი შესაძლებლობები ჰქონდათ და ფლოტისთვის მეტი სარგებლის მორტანა შეეძლოთ.

1908 წელს საფრანგეთში აშშ-ის სამხედრო ფლოტის ატაშე კლემან ადერმა საციცალური მოხსენება გამოაქვეყნა, სადაც ზღაზე ავიაციის გამოყენების აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი. ოფიცარი თვითმფრინავების გასაშუბად კატაპულტების ან სპეციალური მოედნების გამოყენებას სთავაზობდა.

ერთი წლის შემდეგ კლემანმა წიგნი „სამხედრო ავიაცია“ გამოცა და საციცალური ხომალდის – ავიამზიდის შექმნა იყენასწარმეტყველა, ხოლო მისი იდეა ძირითადი ელემენტები – დიდი გემბანი, ანგარი, ლიფტები დეტალურად აღწერა.

მართალია, ავიამზიდი, როგორც სამხედრო

ხომალდების ცალკეული კლასი, ბრიტანეთში შეიქმნა. თუმცა ხომალდიდან აფრენისა და მასზე დაშვების პრეცედენტი ამერიკაში შედგა.

თვითმფრინავების განვითარებასთან ერთად, სამხედროებას მათი გამოყენება მოწინააღმდეგის ხომალდების გასანადგურებლად მოისურვეს. ინტერესს მფრინავ გულენ კრტისის ექსპერიმენტებიც აფიქვებდა. ერთ-ერთი სადემონსტრაციო ფრენისას, მან ტბაში გაშვებულ ტვს ბომბების იმიტატორები დაეყარა.

ტვეისიგან დაზნადებული ლუკაგების უმეტესობა ტვს მოხვდა, თუმცა ერთმა დამკვირვებელმა, კონტრადმირალმა უილიამ კემპელმა აღნიშნა, რომ რეალური ხომალდის გასანადგურებლად ეს არასაკმარისი იქნებოდა. მისი აზრით, მოძრავი სამიხნის შემთხვევაში, სასქე ვარაუდლებოდა. მაგრამ კემპელის აზრს ვეღვა არ იზიარებდა და სამხედროთა ნაწილი საზღვაო ავიაციას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

სკუპტიკოსებისთვის საკუთარი მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად, ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყდა და ამისთვის მსუბუქი კრეისერი „ბირმინგემი“ გამოიყო, რომლის ცხვარეზეც ვარაუდებისგან 25 მ სიგრძის გემბანი აიწყო.

ხომალდიდან აფრენას მოხალისე მფრინავი იუჯინ ელი დაიანხმდა და პირველ საეკიპაჟო თვითმფრინავად „კერტისის“ მოწოდებრა ხნის ბიბლანი შეირჩა. ყოველი შემთხვევისთვის წყალზე აგარიული დაშვებისთვის თვითმფრინავს ტვტვებზე დაუყვნეს.

1910 წლის 14 ნოემბერს იუჯინ ელი ამ ბიბლანით კრეისერ „ბირმინგემიდან“ აფრინდა. ისტორიაში ეს ხომალდიდან თვითმფრინავის აფრენის პირველი შემთხვევა იყო და ამით საეკიპაჟო ავიაციის საფუძველი ჩაეყარა.

პირველმა წარმატებამ ავიაციისადმი სამხედრო ფლოტის ინტერესი უფრო გააღრმავა. ფლოტის შტაბში ათობით ხვდასხვა სახის წინადადება იღებდა და ერთ-ერთი მათგანი საკმარისი არგუმენტული აღმოჩნდა. ნიუ-იორკის სამხედრო ვრვების მექანიკოსმა კივლიმ სამხედროებს თვითმფრინავების გაშვება კატაპულტით, საზღო ხომალდების საარტილერიო კომპლექტებზე ორგანიზებული პლატფორმიდან შესთავაზა.

გემბანიდან იუჯინ ელის პირველ აფრენამდე ცნობილი იყო, რომ ხომალდიდან აფრენა მტრ ვეჟეტს ქარის საწინააღმდეგე მიმართულებიდან მოიტანდა. ეს ვარაუდი თვითმფრინავზე მოქმედი ჰაერის ნაკადის სიჩქარეს



დამატებითად ზრდიდა და შესაბამისად აფრინსთვის ნაკლები მანძილი იყო საჭირო. კიევის ვარიატში კი ქარის საწინააღმდეგოდ თვითმფრინავის დაყენება თავად საარტილერიო კომპლექსების მოტრიალებით შეიძლებოდა.

შექანიკოსმა პროექტის ნახაზებში ფლოტის შტაბში გაგზავნა, მაგრამ უარი მიიღო. სამაგიეროდ, ინგლისელებმა აიტაცეს და საარტილერიო კომპლექსიდან პირველად სწორედ ისინი აფრინდნენ (ამავე მეთოდს იაპონელებიც იყენებდნენ).

თვითმფრინავის ხომალდიდან აფრინის მომდევნო ეტაპი ხომალდზევე დადგომა იყო. იმ დროს მსგავსი რამ წარმოუდგენელი გახლდათ და ამ იდეას აბსურდულს უწოდებდნენ, მაგრამ ექსპერიმენტის ნატარება მაინც გადამწყდა.


დაჯერებული კრისერ „პენსილვანია“ კიორხე 30 მ სიგრძის ხის გემბანი მოეწყო, რომლის ერთი ბოლო საარტილერიო კომპლექსის ყურდობოდა. თვითმფრინავის შესაჩერებლად გემბანის გასწვრივ 1 მ-ის ინტერვალით 22 წველი ქვიშით საუსე 20 კგ-იანი ტომრები დალაგდა და ყოველი წველი ერთმანეთთან 30 სმ სიმაღლეზე გადუმბდა გვარლით იყო დაკავშირებული.

თავად თვითმფრინავზე კი სამი კაუჭი დამაგრდა, გემბანის თავზე გადაფრინისას კაუჭები ერთ-ერთ გვარლს გამოედგობოდა. ავარიული სიტუაციის შემთხვევისთვის გემბანის ბოლოს ბრუნენტის დიდი ნაჭერი დაიჭობა.

1911 წლის 18 იანვარს იუჯინი ელი სან-ფრანცისკოს აეროდრომიდან აფრინდა და გემი ზღვაში მყოფი „პენსილვანიის კენ“ აიღო. გემბანიან მახლოებისთანავე სიჩქარის შესამცირებლად მრუვა გამოართო და კაუჭები მე-12 სამურწოზე გვარლს გამოეღო, რითაც თვითმფრინავის შეჩერება მოხერხდა. ავიაციის ისტორიაში თვითმფრინავი ხომალდზე პირველად დაჯდა.

შემდგომში ეს დღე საგემბანო ავიაციის ისტორიის ათელის წერტილად ჩაითვლება.

გულხელდაკრეფილი არც ინგლისელები იხსნდნენ, იმ პერიოდში ინ-



**ბრიტანული Short-184 მსოფლიოში პირველ საზომალო ტროპიკულში დადიოდა**



გლისის მსოფლიოში უძლიერესი საზღვაო ფლოტი ჰყავდა და შესაბამისად, საზღვაო ავიაციაში ჩამორჩენა ყოველად დაუშვებელი იყო. 1912 წლის 2 მაისს დელტენანტი ჩარლზ სემსონი 10 კვანძის სიჩქარით მოძრაე ხომალდ „ორლანდიდან“ აფრინდა.

**საზღვაო ავიაციის დამოუკიდებელი**


1914 წლის ავგუსტის ინგლისი პირველ მსოფლიო ომში ჩაება. კონტინენტური ევროპის თავზე სამოქმედო მანძილელი ინგლისური თვითმფრინავების ფრინის მანძილი არასაკმარისი იყო, ამიტომ პიღრთთვითმფრინავების გამოყენების მიზნით სპეციალური ხომალდების შექმნა გადაწყდა.

მათერობამ ძველი ლანსერი „კამპენია“ შეიძინა და მასზე 37 მ-იანი გემ-


მოდიფიკაცია — Short-184  
ფრთის გაქანი — 19,4 მ  
სიგრძე — 12,3 მ  
ცარიელი თვითმფრინავის წონა — 1580 კგ  
მაქს. ასაფრენი წონა — 2400 კგ  
ძრავის სიმძლავრე — 1x195 ცხ.ძ  
სიჩქარე — 132 კმ/სთ-ში  
ეკიპაჟი — 2 კაცი  
შეიარაღება: ერთი 7,62 მ-იანი „ლიუისის“ ტყვიამფრეველი, 356 მ-იანი ტროპელო

ბანი მოაწყო. 180000 ტ წყალწვევის ხომალდს ბორტზე 10 თვითმფრინავის მიღება შეეძლო.

ლა-მანშის სრუტეში მოცურავე იმპროვიზებული პიღრთავიამბიდიდან ბრიტანელმა მფრინავებმა გემბანის სანაპიროზე დირიჟაბლების ქარხნებზე რამდენიმე რეიდი მოაწყვეს. ოპერაციის შედეგებზე საუბარი მწელია.



ერთი პერიოდი თვითმფრინავების ასაფრენად საბრძოლო ხომალდების კომპლექტზე დამონტაჟებული პლატფორმებს იყენებდნენ





თეითმფრინავებს მხოლოდ სამ-სამი 9 კვ-იანი ბომბი მიჰქონდათ და ნაკლებ-საყარაულოა, ცეკულების ქარხნები მძიმედ დაზიანებული იყვნენ.

**პირველი მსხვერპლი**

1915 წელს ბრიტანულმა პილოტი-ავიატორებმა ხმელთაშუა ზღვაშიც დაიწყეს მოქმედება და დარდანელის სრუტეში 8 პილოტი თეითმფრინავით „არკ როიალ“ გაიგზავნა.

17 თებერვალს ხომალდი დარდანელის სრუტედან 15 მილის მოშორებით დადგა და მალე ერთი პილოტი თეითმფრინავი თურქების პოზიციების დასაზვერად აფრინდა. შემდეგ იმ დღეებში თეითმფრინავებს სახაზო ხომალდ „ქუინ ელიზაბეთის“ საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვის იყენებდნენ.

ენისში „არკ როიალმა“ საბრძოლო მოქმედებების რაიონი დატოვა (დაბალი სიჩქარე მას კარგ სამიზნედ აქცევდა), მას შემდეგ ბრიტანული პილოტი-ავიატორი „ბენ-მაი-შის“ ჩაენაცვლა.

მისმა ერთ-ერთმა მფრინავმა მოწინააღმდეგის ხომალდებთან საბრძოლველად თეითმფრინავზე დამატებული 356 მმ-იანი ტორპედო გამოიყენა.

ცდები წარმატებით დასრულდა. ასე ჩაეყარა საფუძველი საზღვაო ხომალ-

დებთან მოქმედ პირველ პილოტი-თეითმფრინავ-ტორპედოში Short-184-ს.

„ბენ-მაი-შის“ ბორტზე ორი ასეთი თეითმფრინავი იყო. 17 აგვისტოს ტორპედოები შეიარაღებული ორივე Short-184 სასატრულოდ აფრინდა და მფრინავებმა მალე თურქული სატვირთო გემი შენიშნეს.

შეტევა წარმატებული გამოდგა — ტორპედო მიზანს მოხვდა და ალმოდებული გემი სწრაფად ჩაიძირა. საზომალდო თეითმფრინავებმა თავის პირველ სამიზნე გაანადგურეს.

**ნამდვილი ავიაფილია**

ეფექტურობის მიუხედავად, პილოტი-ავიაფილიებს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდათ, — დაჯილბაზე გაფრინის წინ ამსუე თეითმფრინავს გემბანიდან წყალში უშვებდა. ანალოგიური ოპერაციით დაჯილბებიდან დაბრუნებული თეითმფრინავი ხომალდზე თავის ადგილს იკავებდა.

ეს ოპერაციები ბევრ დროს მოითხოვდა, ხოლო თეითმფრინავების გამოყენება ზღვის ლევაზეც იყო დამოკიდებული.

მიანდათ, რომ თეითმფრინავებთან შედარებით ტექტიანი პილოტი-თეითმფრინავები უფრო სწელი და მოუქნელი იყვნენ. მისმე ტექტიები კი

ფრენისას დამატებით წინააღმდეგობას ქმნიდნენ.

ბრიტანელები პირველები იყვნენ, ვინც ამ პრობლემის გადაჭრას საფუძვლიანად მიუღწერნენ. პირველი ხომალდი, რომელსაც შეიძლება ავიაფილი ეწოდებოდა, სწორედ ბრიტანული F.ფი-ურიესი“ იყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ბრიტანულმა საადმირალიტეტმა სახაზო კრესიერი: „ფიურიესი“, „გლორიესი“ და „კორიჯიესი“ დაუკვეთა. მათი მშენებლობა 1915 წელს დაიწყო. ხომალდებზე 456 მმ-იანი ქვეყებების დაყენება იყო ჩაფიქრებული, მაგრამ გემმა შეიცვალა და ხომალდი ავიაფილიად გადაკეთდა — ცხვირის საარტილერიო კომპურის ნაცვლად 70 მ სიგრძისა და 16 მ სიგანის გემბანი მოქციეს.

„ფიურიესი“ მწიობრში 1917 წელს ჩადგა და ხომალდის ცხვირის ნაწილი ავიაფილიის დანიშნულებას ასრულებდა, ხოლო კინოში კი — სახაზო ხომალდად დარჩა.

ექსპლუატაციისას ხომალდი ოთხჯერ რადიკალურად გადაკეთდა და ავიაფილიების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. მას ბორტზე ოთხი Short-184 და ექვსი Sopwith Pup-აჰყავდა.

ექსპლუატაციისას გაირკვა, რომ გემბანი თელიანი Sopwith-ების დასაჯდომად არასაკმარისია და 1917 წელს ხომალდი დოკში დაბრუნეს, სადაც ძირფეხიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

კინოს საარტილერიო კომპურის ადგილზე დამატებითი 100 მ-იანი გემბანი (სიგანე 30 მ) გაკეთდა. ხომალდის შუაში ასაფრენ-დასაჯდომი გემბანების გამოყოფა ზენაშენის გვერდებზე თეითმფრინავების გადასაჯდომებელი რუსესები დააგეს და თეითმფრინავების ოდენობაც 20-მდე გაზარდა.

ავიაფილი მწიობრში 1918 წელს დაბრუნდა, მაგრამ თეითმფრინავების დაჯდომის პრობლემის გადაჭრა მანც ვერ მოხერხდა, — ხომალდის ცხვირისას ქარისგან ცენტრალური ზენაშენით წარმოქმნილი ტურბულენტური ნაკადი მფრინავებს ხელს უშლიდა.

„ფიურიესი“ კიდევ ერთხელ 1922 წელს გადააკეთეს. ამჯერად ორივე გემბანი გაერთიანდა და ხომალდი ბრტყელგემბანიანი ავიაფილიად იქცა. თეითმფრინავების ოდენობამაც მოიმატა — 33 თეითმფრინავი.

**ალმძსანდრე ავაშიანი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**სახაზო ხომალდის ბაზზე შექმნილი Furious-ი ექსპლუატაციის პროცესში ოთხჯერ გადაკეთდა და სრულფასოვანი ავიაფილი 1939 წელს გახდა**



# რას ნაკრძობენ ახალი „კალაშნიკოვი“

## AK-12-ს ზოგი ეხებით თაოგის ავტომატად თვლის, ნაწილი კი შელახაზებულ AK-74-ს უწოდებს...

სტატია ახალ „კალაშნიკოვზე“ — AK-12-ზე შეიძლება ჯერ კიდევ ნახვარი წლის წინ დაგვეწერა, როდესაც მის შესახებ პირველად გამოიჩნდა ინფორმაცია, მაგრამ მაშინ თავი შევიკავეთ, რადგან უფრო მეტის გაგება გეხურდა ახალ ავტომატზე.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე აგვისტოა, AK-12-ის ბედი ისევ გაურკვეველია, რადგან რუსეთის ძალოანი სტრუქტურების ხელმძღვანელებსა და უპირველესად თვადეცის სამინისტროს არ სურს ისევ მილიონობით შეიძინოს შელამაზებული ახალი „კალაშნიკოვი“.

რუსეთის არმიის საწყობებში ორ ათეულ მილიონამდე სხვადასხვა მოდიფიკაციის „კალაშნიკოვა“ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდთან, როდესაც კრემლში ტოტალური ომის გეგმებს აწვობდნენ და „კა-

ლაშნიკოვებით“ არმიის გარდა მრავალმილიონიანი რეზერვის შეიარაღებასაც აპირებდნენ.

რუსი სამხედროების ნაწილის აზრით, 2011 წლის ახალი AK-12 სხვა არაფერია, თუ არა AK-74M-ის ტიპის „კალაშნიკოვის“ მცირედ მოდერნიზებული და შელამაზებული ვარიანტი, რომელსაც „კალაშნიკოვის“ ბუერი ნაკლი დარჩა, მათ შორის ავტომატურ რეჟიმში სროლის მცირე სიზუსტე.

მეორე ნაწილის მოსაზრებით, AK-12-ში გამოსწორებულია AK-74-ის ბუერი ნაკლი და უფრო ეროვნოციურაა მსოფლიოსთვის.

თვადე კონსტრუქტორების აზრით, AK-12-ის მთავარი პლუსი მისი მოდულის პრინციპით აწყობაა, რაც მომავალში მის ბაზაზე არანაკლებ 20

სხვადასხვა ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის საშუალებას მისცემს.

მოდულის პრინციპია ისიც, რომ AK-12-ის გადაყვანა სხვადასხვა კალიბრისა და ტიპის ვაზნებზე არ იქნება პრობლემა. შიდა, რუსეთში მოხმარებისთვის „იქმამის“ ქარხნის ხელმძღვანელობა მყიდველს 5,45 მმ კალიბრის ვაზნაზე გათვლილ AK-12-ს სთავაზობს. საზღვარგარეთ, ექსპორტზე, NATO-ს 5,56X45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ ვაზნას აპირებენ. გარდა ამისა, მოთხოვნის შემთხვევაში ქარხანა დაამზადებს AKM-ის 7,62X39 მმ კალიბრზე გათვლილ AK-12-ს ან სულაც NATO-ს სტანდარტის მძლავრ 7,62X51 მმ კალიბრის ვაზნებზე შეურწყეს ახალ „კალაშნიკოვს“.



AK-12 ლულისქვეშა ვუმბარსატორციენით და 100-ვაზნიანი დოლური ტიპის მჭიდით



AK-12-ის არასრული დაშლა



AK-12

AKC-74

იკვება (ისევე, როგორც ამერიკულ M4-ზე) და გვერდით, მარჯვნივ, კონდახის მარჯვნივ დაკეცვა (ეს უფრო მოსახერხებელია, რადგან AK-74-ის მარცხნივ დაკეცილი კონდახი სირბილის დროს ჯარისკაცს სხეულზე ურტყამს) იმიტომ გახდა შესაძლებელი AK-12-ზე, რომ მისი გადატყვის ბერკეტი კონსტრუქტორებმა წინ, სალულის თავზე გადაიტანეს. თანაც ამ ბერკეტის განთავსება ორივე — მარჯვენა და მარცხენა მხარეზეც შეიძლება, რაც მოსახერხებელია ცაიციებისთვისაც.

„კალაშნიკოვის“ 65-წლიან ისტორიაში პირველად მის დამრტყმელ-დამშვებ მექანიზმში შეიტანეს საკეტის შემაჩერებელი მექანიზმი. სპეციალური დილაკი სასხლეტის წინ, მჭიდის მოსახსნელი ბერკეტის თავზეა. ამ დილაკზე თითის დაჭრის შემდეგ მსროლელს შეუძლია საკეტი უკანა მდგომარეობაში დააყენოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ისევ დილაკზე თითის დაჭრით, საკეტი წინა მდგომარეობაში ბრუნდება და თან მჭიდიდან გაუნას გაიყოლებს.

ვაზნების გათავებისა და ახალი მჭიდის დაყენების შემდეგ ძველ „კალაშნიკოს“ ხელახლა სჭირდებოდა დატენა. თუკი ვაზნების გათავების შემდეგ საკეტი უკანა პოზიციაში დარჩება, მაშინ ახალი მჭიდიდან ის თავად გაიყოლებს ვაზნას და მსროლელს აღარ დასჭირდება ავტომატის ხელახლა გადატენა, რაც დროის მოგებაა (ანალოგიური მექანიზმი მუშაობს M4-ში).

AK-12-ის კონსტრუქტორებს დიდ

ახალი AK-12 AK-74M-ისგან დიზაინით განსხვავდება, თუმცა, არც ისე, რომ „კალაშნიკოს“ ცნობილი ფორმა ვერ ამოიცნოს ცეცხლსასროლ იარაღში მეტ-ნაკლებად გარკვეულმა ადამიანმა.

ყურადღებას იქცევს ახალი დიზაინის კონდახი. საზოგადოდ, „კალაშნიკოებს“ რამდენიმე სახის კონდახი ჰქონდათ ხისა და რკინის დასაკეცი, რკინის დასაკეცი კონდახი AKMC-ზე ქვემოთ იკვებოდა, ისევე როგორც ცნობილი გერმანული MP40 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები. AKC-74-ის რკინის სამკუთხა ფორმის კონდახი მარცხნივ იკვებება, რადგან მარჯვნივ დაკეცივისას გადასატენი ბერკეტის მოძრაობას შეუშლიდა ხელს.

AK-12-ს ორიგინალური კონდახი აქვს, რომელიც ტელესკოპურადაც



93 წლის მიხეილ კალაშნიკოვი ახალ AK-12-თან ერთად, თუმცა მის შემქმნაში მას მონაწილეობა აღარ მიუღია

მდღევად ის მიაჩნიათ, რომ ახალი ავტომატის მართვა ერთი ხელის პრინციპით შეიძლება. „კალაშნიკოვი“ ვისაც უსვრია, არასოდეს დააიწყებდა, რამდენად მოუხერხებელია მარცხენა ხელით ავტომატის მარჯვენე განთავსებული ბერკეტით გადატენა. მარჯვენა ხელით იმავე პროცედურის შესრულება ძნელი არ არის, მაგრამ მამის მსროლელი იძულებულია, სასხლეტს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიაშოროს. იგივე თიქმის ავტომატის მარჯვენე განთავსებული სროლის რეჟიმების გადართვის ბერკეტზე, რომელიც ამასთანავე დამცველის როლსაც ასრულებს.

AK-12-ში სროლის რეჟიმების გადართვით ბერკეტი იარაღის ორივე მხარესა და მსროლელს რა გავლენა აქვს ავტომატის მარცხენა მხარეს და მონტაჟებული ამ ბერკეტის გადართვა მარჯვენა ხელის ცერა თითით, ისე, რომ საჩვენებელი თითი სასხლეტიდან არ აიღოს. ცაცისთვის, რომელიც მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ისვრის, მოსახერხებელი იქნება მარცხენა ხელის ცერა თითით ავტომატის მარჯვენა მხარეზე დაყენებული სროლის რეჟიმების შეცვლის ბერკეტის გადართვა.

ტრადიციულად „კალაშნიკოვი“ ან თითო ტყვიას ისროდნენ, ან ავტომატურ ჯერებს უშვებდნენ. AK-12-ის სროლის რეჟიმში არის 3-3-ტყვიანი რეჟიმებით სროლა, რისი წყალობითაც ჯანების მარაგის დაზოგვა შეიძლება. ისე კი პროფესიონალი მებრძოლები ავტომატური რეჟიმის სროლაზე დაყენებულ „კალაშნიკოს“ 2-3-ტყვიანი ჯერით ისედაც ისვრიან.

ლულის ახალი მუხრუჭი კონსტრუქტორების მტკიცებით 20%-ით ამცირებს უკუკემის ძალას და ზრდის სროლის სიზუსტეს ავტომატური ჯერების გაშვებისას.

AK-12-ს აქვს Picatinny rail ტიპის მიმართულებები როგორც სასროლი მექანიზმის თავზე, ისე სალულის ქვემოთ. მიმართულებები საშუალებას იძლევა, AK-12-ზე დაყენდეს ყველა სახის ოპტიკური სამიზნე, მიზნის ლაზერული მომნიშვნელები, ტაქტიკური ფარნები, წინა ხელის მოსაივლები, ასევე ზოგიერთი ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნი.

AK-12-ის რუსული არმიის შეიარაღებაში მასობრივად მიღება ცოტა ძნელი წარმოსადგენია, რადგან ამ ახალ ავტომატს რაიმე კარდინალური უპირატესობა AK-74M-ებთან შედარებით არ აქვს. უფრო საყარაულოა, რომ AK-12-ებს მცირე პარტიებით შეიძენენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმების შესაიარაღებლად. სამაგი-



AK-12 და მისი დამატებითი აქსესუარები

**ჩვენი დროში:** ახალი AK-12 უმჭიდროდ 3,3 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 945 მმ-ია, ხოლო დაკეცილი კონდნით კი მხოლოდ 725 მმ. ლულის სიგრძე 415 მმ-ს შეადგენს. ტყვიის საწვინი სიჩქარე 900 მ/წმ-ს აღწევს, სროლის ტემპი კი 600/1000 გასროლაა წუთში. ამ ავტომატისთვის შექმნილია 60 და 100 ვაზნის ტყვიანობის მჭიდობები, სტანდარტულ მჭიდობი კი 5,45 მმ კალიბრის 30 ვაზნა ჩადის.

რობით არა აქვს. უფრო საყარაულოა, რომ AK-12-ებს მცირე პარტიებით შეიძენენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმების შესაიარაღებლად. სამაგი-

ეროდ, მასზე დიდი მოთხოვნა იქნება საზღვარგარეთ „კალაშნიკოვიების“ ფანატიკოს კოლექციონერებში.

**ორივემ ალდავშილი**

**AK-12 ავტომატური ჯერი სროლისას**



# პროსტამოლ®

®

F1557  
2012  
სსიპ

## პროსტამოლის კეთილთვისებიანი ვიკერგაზიის შემდეგ შედეგებისთვის

დროული  
შედეგები  
საუკეთესო  
შედეგების ნაბიჯად

პროსტამოლი  
პროსტამოლი



გამოყენების განხილვის ინსტრუქციას, გვერდითი ზედაპირის  
შუალედურ დახრილ მდებარეობაში მისაღებად მივათითებთ.



### პროსტამოლ® უნო

აუცილებელია პროსტამოლის უკუღმობა  
ზრდას და აუცილებელია უკუღმობის  
შედეგებისთვის

**M BERLIN-CHEMIE  
MENARINI**